№ 165 1877—1905 № 165

პარასკევი, 16 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით. განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში. ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—22)

კვირას, 18 ენკენისთვეს, დაიწყება სწავლა **ჩუღურეთის ვაჟების საკვირაო სკოლაში.** ზედამხედველად იქნება ალექსანდრა ილიას ასული ხარაშვილის ქალი.

მომავალ კვირას, 35 ენკენისთვეს, დაიწყება სწავლა **ნაძალადევის ქალების საკვირაო სკოლაში.** ზედამხედველად იქნება მარიამ ვახტანგის ასული მაჩაბლის ქალი.

(1—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

შაბათს 17 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება

„ა ი დ ა“

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ვერდისა, თარგ. **გრ. ობიზარისა.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, კარრი; ბ-ნნი: დონსკოი, სოკოლსკი, დრაკული, თომაშევიჩი, ვოლსკი. ახალი დეკორაციები დეკორატორის ბ-ნ ნოვაკისა; ახალი ტანსაცმელები და ბუტაფორია.

ბალეტს განაგებს ბალეტმეისტერი ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

დირიჟორი დ. პ. შტეინბერგი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ანონსი: კვირას, 18 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება **„ევგენი ონეგინი“**, ოპ. 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ბილეთები იყიდება.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ძ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორ-

განოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა შაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დედაკაცის პოლიტიკური უფლებები

—

დღევანდლამდის კაცობრიობის ისტორია მხოლოდ ტანჯვის ისტორიაა. კაცობრიობის უმრავლესობა მუდმივ ჯაფაშია შებმული, მუშაობს და იტანჯება, რომ მისი ნაოფლარით უმცირესობამ იმხიარულოს და სიტკბოებას მისცეს თავი. თუმცა ეს უმრავლესობის გაყვლეფა უმცირესობისაგან დღემდის სწარმოებს, მაგრამ ჩვენ მაინც ვამჩნევთ, რომ შეუჩერებელ ბრძოლაში უმრავლესობა თანდათან იუმჯობესებს თავის მდგომარეობას, თანდათან მაღლა იწევს და იახლოვებს იმ დროს, როცა საერთო თანასწორობის განხორციელება მოსპობს ყოველ გვარ დაბეჩავებასა და დამონავებას.

ჩვენ აქ შევეხებით სოციალურ ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს. მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, ეგრედ წოდებული, მესამე ელემენტი, ძირიანად შეიცვალა ყოველგან უმთავრესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სახელმწიფოს—სახე, ყოველგან, ადრე თუ გვიან, სახელმწიფოს გამგებლობა ამა თუ იმ სახით ხალხის ხელში გადავიდა. მაგრამ ეს გადასვლა ყოველგან ერთნაირის სისრულით არ მომხდარა. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთში, შემოვიდა საყოველთაო საარჩევნო სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ყოველ კლასს და, მაშასადამე, საკუთრებას მოკლებულ მუშებსაც—უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებაში, პარლამენტში, თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს. ამნაირად, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც, ყოველგვარ საარჩევნო ცენზის მოსპობით, ყოველ მოქალაქისთვის შესაძლო გახდა პოლიტიკურ ბრძოლაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს, პარლამენტში მისი იდეების მომხრე და მისი ინტერესების დამცველი გაგზავნოს.

მაგრამ აქ ჩვენ ერთ ცალმხრივობას ვამჩნევთ. როგორც ვიცით, დედამიწაზე მამაკაცთა და ქალთა რიცხვი დაახლოვებით თანასწორია. ვერავინ იტყვის, რომ კაცობრიობის არსებობაში ქალს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე მამაკაცს. მიუხედავად ამისა, კაცობრიობის ეს ნახევარი დღემდისაც მოკლებულია უფლებრივ თანასწორობას მამაკაცთან.

რასაკვირველია, ასეთ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს წარსულ ისტორიაში. კაცობრიობის ისტორიული ხანა დედაკაცის მონობის ხანაა. სულ ერთია, სოციალურ ცხოვრების რა საფეხურზედაც უნდა ყოფილიყო დედაკაცი,—მონობის ეპოქაში მონის ცოლი და, მაშასადამე, თვითონაც მონა, გინდ დიდებულ პატრიციის მეუღლე,—ის მაინც სავსებით მამაკაცისაგან იყო დამოკიდებული და მის დანიშნულებას მხოლოდ მამაკაცის სიამოვნება შეადგენდა. ოჯახი,—აი ის წრე, რომელშიაც თავსდებოდა დედაკაცის მთელი ცხოვრება. არც ფეოდალურ ხანას დაუყრია დიდი სიკეთე დედაკაცისათვის, რაინდების „სათაყვანო საგანი“ იგივ უუფლებო დედაკაცი იყო.

მაგრამ აი, დადგა ბურჟუაზიული ეპოქა. ამ ეპოქამ თავისი საწარმოვო მოქმედებით ისეთი პირობები შეჰქმნა, რომელმაც გამოიწვია ძველებური ოჯახის დარღვევა. ქალი, წინედ კერას მიკრული, გარედ გამოდის, მამაკაცს გვერდით უდგება და მასავით მძიმე შრომას ეწევა. ქალი იწყებს ოჯახის მამაკაცისაგან დამოუკიდებლად შრომას. მაშინ როდესაც წინანდელ დროში ოჯახის უმთავრესი მარჩენალი მამაკაცი იყო და ქალი იძულებული იყო მას პირში შესჩერებოდა ლუკმა-პურის მოლოდინში, დღეს იგი დამოუკიდებლად ეძებს ამ ლუკმა პურს. საარსებო ბრძოლაში დამოუკიდებლობის გზაზე დადგომას დედაკაცისას უსათუოდ უნდა მოჰყვეს შესაფერი სოციალური ცვლილებაც. ის დამონავება, რომელიც წინედ აუცილებელი მოვლენა იყო, როგორც ეკონომიურ დამოკიდებულების შედეგი, დღეს თანდათან ისპობა.

გარდა ამისა საჭიროა აღვნიშნოთ ეკონომიურ ცხოვრების მეორე მხარეც. წინანდელი ოჯახი წარმოადგენდა პატარა შემოზღუდულ საწარმოვო ერთეულს. ოჯახის წევრები თვითონ ამზადებდნენ ოჯახისათვის თითქმის ყველა საჭირო ნივთებს. დიდიხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენში კმაყოფილდებოდნენ სახლში მოქსოვილ ხამით და შალით. მაგრამ მრეწველობის განვითარებამ სტიქიურის ძლიერებით ჩამოანგრია ძველი განცალკევებული ოჯახის კარები, ჩაერია ოჯახურ წარმოებაში და მოსპო ის იდილიური ორგანიზაცია, რომელიც წინეთ არსებობდა. ნაყიდმა საქონელმა თანდათან გააძევა ოჯახის წარმოების ფული. რაც დრო მიდის, იმდენად უფრო მეტ საქონელს ყიდულობს ოჯახი. ცხადია სხვისი ნაწარმოების ყიდვა მაშინაა შესაძლო, როცა შენც გაგაქვს ბაზარზე შენი ნაწარმოები. აქაც ოჯახისთვის ასპარეზი თითქმის მოსპობილია. ის საქარხნო მრეწველობას მეტოქეობას ვერ გაუწევს. ამიტომ მრავალ ოჯახთა წევრებს მხოლოდ ერთი გზა რჩებათ,—ბაზარზე თავისი ძალა გამოიტანონ და გაყიდონ,—ქირაზე იმუშაონ. დედაკაციც, რომელსაც ოჯახი ვეღარ აძლევს არსებობის საშუალებას, ძალა-უნებურად გარედ უნდა გავიდეს და ჯამაგირით თუ ქირით უნდა ირჩინოს თავი. ამგვარად იგი ეკონომიურ მოქმედებაში უსწორდება მამაკაცს. დედაკაცი იწყებს დამოუკიდებელ არსებობას. ის თავისუფლდება იმ მზრუნველობისაგან, რომელიც წინეთ მის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

დღევანდელ სოციალურ ცხოვრების პირობები მასზეც ისევე მოქმედებენ, იმანაც იმავე იარაღით უნდა იბრძოლოს, იმავე საშუალებას უნდა მიმართოს თავის ინტერესების დასაცველად, რა საშუალებითაც სარგებლობს მამაკაცი. საზოგადოებრივს ასპარეზზე გამოსვლა აუცილებლად ხდის დედაკაცისთვისაც თავის ინტერესებისათვის ბრძოლას. კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლის და მუშის ურთიერთ დამოკიდებულებას, აღზრდის საქმე და ბევრი სხვა სოციალური საკითხი, პირდაპირ დედაკასაც ეხება. საზოგადოებრივ წარმოების პროცესში მშრომელს პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა დედაკაცისა ისტორიული აუცილებლობაა.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად სოციალურ პირობების შეცვლისა, პოლიტიკური უფლება დღემდისაც ვერ მოიპოვა დედაკაცმა. მხოლოდ ორიოდე ქვეყანაში გაუთანასწორდა პოლიტიკურად დედაკაცი მამაკაცს. შემდეგ წერილში მკითხველს გავაცნობთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ გათანასწორებას.

პეტრე სურგულაძე.

მოძრაობა ფინლანდიაში

—

„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ასე ასწერს ფინლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობას: „რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1902 წელს შეიტყო, რომ ფინლანდიაში მეომართა რაზმები შესდგა, რომ აჯანყების მოსახდენად კომიტეტები შესდგა, მთელი ფინლანდია დაყოფილია რამდენსამე ნაწილად და თითო ნაწილს უფროსობს აფიცერი, რომელიც აჯანყებულთ ფინლანდელებს უნდა გაუძღვესო.

აჯანყებისთვის საჭირო ფული—პატრიოტული ფონდი მთელ ფინლანდიაში იკრიბებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო ბაზრებისა და სეირნობის სახელით. ერთხელ დაწყებული მოძრაობა თანდათან ძლიერდება. მას მხარს აძლევენ და აქეზებენ უცხოელები და უფრო კი შვედები, რომელნიც სულ იმას ჩასჩიჩინებენ ფინლიანდიას, რომ ხელსაყრელი დრო დაგიდგათ და დაიწყეთო. გერმანულ გაზეთებს სწერდნენ, რომ მოსკოვში ნასროლ ყუმბარის ჰექას ფინლანდიამ მისცა ხმა და საცაა ნასკვიც გამოიხლართებაო. უკანასკნელ დროს მომხდარმა ამბებმაც ფინებისა და შვედელების პარტიებს შეერთებას ხელი შეუწყესო; შეერთებული პარტია გაათკეცებულის ძალითა და ენერგიით მიისწრაფვი თავიანთ მიზნისკენ—რუსეთისაგან ფინლანდიის ჩამოშორებისაკენო. ზემოხსენებულ კორესპონდენციის ავტორის სიტყვით, მას შემდეგ, რაც დიდი მთავარი, პლევე, ბობრიკოვი და იონსენი მოჰკლეს, ფინლანდიაში რუსეთის მოხელის სიცოცხლეში ერთ გროშსაც არავინ მისცემსო, ფინლანდიის შეიარაღება სწრაფად ხდება, იარაღის გიმნასტიურ მონადირეთა საზოგადოებების წევრებს ურიგებენ, ამ საზოგადოებებით მთელი ფინლანდია გაივსო და სხვ. ფინლანდიას იმედი აქვს, რომ რუსეთის განაპირა ადგილებში დაწყებული არეულობა რუსეთს ხელს შეუშლის და ფინლანდიას არ გაასრესინებსო.

წარსულ კვირას — სწერს „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი ჰელსინგფორსი ფინლიანდიის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდამ ჩამოსულებით გაივსო. სასტუმროებში ადგილი აღარ იყო. ჩამოსულთა უმეტესობა ფინლანდიის სეიმის დეპუტატებად ნამყოფნი იყვნენ. უშველებელი დარბაზი გაიტენა ხალხით. აქ შეხვდებოდით ფინლანდიის ყველა კუთხის დეპუტაციას. დარბაზში 900 წარმომადგენელზე მეტი იყო. შვეციის გაზეთები ასე მოგვითხრობენ ამ კრების ამბავს: „ტრიბუნაზე პირველად პირველი სენატორი ლე მეხელინი ავიდა და სიტყვა წარმოსთქვა. მეხელინმა სთქვა, რომ რუსეთის ძალმომრეობით გათელილმა უფლებებმა და გაუქმებულმა კონსტიტუციამ მთელი ფინლიანდია ერთ ჯგუფად შეაერთა, რომელსაც კონსტიტუციონალისტთა პარტია ეწოდებაო. შემდეგ ორატორმა მოითხოვა, რომ პარტიულ კამათსა და შუღლს თავი დაანებონ და ერთად იბრძოლონ იმ დრომდის, სანამ 1809 წლის დებულება არ იქნება აღდგენილი; ამ საქმეში არავითარი კომპრომისი არ შეიძლებაო. ორატორმა კრება გახსნა და თავმჯდომარედ დაასახელა პროფესორი სტელი, თანაშემწეებად სენატორი ნიუბერგი და აგრონომი აუილინი და მდივნებადაც ბარონი ფონსდორფი და რენვალი.

პროფესორმა სტელმა მისალმების შემდეგ ექვსი კითხვა წამოაყენა: 1) შესახებ კანონიერ წესყობილების აღდგენისა; 2) შესახებ რუსულ ენისა ადმინისტრატიულ დაწესებულებებში; 3 სამხედრო ბეგარა; 4) რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს დაარსება; 5) საარჩევნო უფლებით აღდგენა საქალაქო და სასოფლო წოდებებში და 6) წარმომადგენლობის ფორმის შესახებ. ამის შემდეგ გრუნდსტრემმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა შესახებ რუსეთის მთავრობის ბოროტმოქმედებისა ფინლანდიაში, შესახებ პოლიციისა და რუსულ ენისა. კრებამ აღიარა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ გამოცემული კანონები უკანონოა და მთელმა ფინლიანდიამ შემდეგშიაც პასიური წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მთავრობას. გარდა ამისა, კრებამ მოითხოვა დიქტატურის გაუქმება და შემოდგომაზე არაჩვეულებრივ სეიმის მოწვევა. ერმა ორატორმა განაცხადა, ყველაზე დიდი უბედურება და ფინლანდიის შერცხვენა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი ფინლანდიელი მოხელე სამსახურში რჩება და მთელ ფინლანდიას არცხვენსო. სამხედრო ბეგარის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ყველა ფინლანდელმა სამხედრო ბეგარა აქაც, ფინლანდიაშივე უნდა მოიხადოსო“.

გენერალ გუბერნატორის ბრძანებით დარბაზში შევიდა პოლიციელი და იკითხა, ვინ მოგცათ შეკრების ნებაო. პოლიციელს მიუგეს, ეს კერძო კრებაა და ამიტომ არც ნებართვაა საჭიროო. პოლიციის აფიცრებმა კრების დაშლა მოითხოვა, მაგრამ კრებამ ერთხმად დაადგინა წინააღმდეგობის გაწევა და ლაპარაკი განაგრძო. ამ დროს მოვიდა პოლიცმეისტერი პოლიციელებით და უმაღლეს ბრძანების სახელით კრებას დაშლა მოსთხოვა. თავმჯდომარემ კრებას ჰკითხა, როგორ ინებებთ, ძალას დავემორჩილოთ და დავიშალნეთ, თუ დავრჩეთო. ხალხმა ერთხმად წამოიძახა: არა, ნუ დავიშლებით, დავრჩეთო, და მართლაც დარჩნენ. ერთი ორატორი წამოდგა და ცხარედ, აღელვებით ლაპარაკი დაიწყო რუსეთის მთავრობის ძალმომრეობის შესახებ. საშინელი აუწერელი ხმაურობა და აყალ-მაყალი ასტყდა. დარბაზში ერთი როტა ჯარი შევიდა. ხალხი ფეხზე წამოდგა და ეროვნულ ჰიმნის—„ჩვენი ქვეყნის“ მღერა დაიწყო. ჯარმა დამსწრენი თითო-თითოდ გამოიყვანა დარბაზიდან. ხალხმა ირგვლივ და თეატრებსა და კონცერტებში შეყარდა და მთელ ქალაქს შეატყობინა: ჰარიქა, პოლიციამ პატრიოტთა კრება შეურაცხყოვო. მთელ ქალაქში ერთი აყალ-მაყალი, აურ-ზაური, ხმაურობა ასტყდა: იმ წუთშივე ყველა თეატრებში წარმოდგენები შესწყდა.

ფინლანდელები ორის გემით ეზიდებოდნენ იარაღს, ერთს უდაბნო კუნძულზე გადმოჰქონდა, ხოლო სად მიჰქონდა მეორეს, არ იციან. ეს მეორე გემი ქვებს წააწყდა და დაიმსხვრა. ფინლადელებმა თვითონვე ააფეთქეს გემიც და იარაღიც. ამ ორ გემის გარდა იარაღის გადმოსატანად ფინლანდელებს სხვა გემებიც აქვთ დაქირავებული. ფინლანდელებმა მართლა აუარებელი იარაღი მოიტანეს საზღვარ გარეთიდან.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 სექტემბერი.

ოდესა. გენერალ კონდრატენკოს გვამს დასაკრძალავად პეტერბურგში წასვენებენ.—ოდესში მოვიდა და ბათომისკენ გაემგზავრა ჯგუფი ნავთის მრეწველთა, რომელთაც, მიუხედავად მიყენებულ ზარალისა, სურთ ბაქოში ნავთის მრეწველობა გააფართოვონ. ამასთანავე, რუსეთის მთავრობას მოსთხოვენ გარანტიას, რომ მათი ქონება ბაქოში უზრუნველყოფილი იქნება.

სიმფეროპოლი, 13 სექტემბერი. სიმფეროპოლის ერობამ შეადგინა პროექტი შუამდგომლობისა, რომ ერობაში საარჩევნო უფლება ქალებსაც მიენიჭოსო.

იალტა, 13 სექტემბერი. მოსკოვში გავრცელებული ხმები, ვითომც სასტუმრო „როსსია“ გადაეწვათ და საერთოდ იალტაში აკლება ყოფილიყოს, სიმართლეს მოკლებულია. სამხრეთ ნაპირზე სრული მშვიდობიანობაა.

ვენა, 13 სექტემბერი. გუშინ რეიხსრატში გაუჩმა, რომელსაც სოციალისტები „საარჩევნო კანონის ქურდს“ და „მარს“ უყვიროდნენ, სთქვა: უნგრეთის საკითხს მთავრობა იმ თვალით ხედვით ექცევა, რომელიც 1867 წლის შეთანხმებას საძირკვლად დაუდო, ავსტრია მეტს ვერაფერს დაუთმობს, მაგრამ მთავრობა 1867 წლის შეთანხმების გადასინჯვაზე მაინც დასთანხმდა. ავსტრია უნგრეთის შინაურ საქმეებში არ ერევა და ამიტომ ისიც ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია, რომ უნგრეთი ავსტრიის შინაურ საქმეებში გაერიოსო.

შანხაი, 13 სექტემბერი. ჩინეთი სამხედრო და საზღვაო სისტემის რეორგანიზაციას შეუდგა. დაარსდა უმაღლესი შტაბი, რომლის წევრებმაც განათლება იაპონიაში მიიღეს. ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთის იმპერიას ოცს სამხედრო ოლქად დაჰყოფენ, თითო ოლქში ცამეტი პროვინცია იქნება. მთავრობას იმედი აქვს, 1910 წლისთვის ჩინეთს ერთი მილიონი კარგად შეიარაღებული და გაწრთვნილი ჯარი ეყოლება.

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. ჩინეთის მთავრობა საზავო ხელშეკრულობის ორ მუხლს გამო ფორმალურ პროტესტს აცხადებს: მას მანჯურიის ევაკუაციისთვის დანიშნული ვადა დიდად მიაჩნია და მის ნახევრად შემოკლებას თხოულობს; ამასთანავე რკინის გზის დასაცველად მანჯურიაში 15,000 კაცის დატოვებაც ძალიან გადამეტებულად მიაჩნია.

ლონდონი, 13 სექტემბერი. ჰამბურგიდან დეპეშით იუწყებიან, რომ დანიშნულ ადგილს 27 აგვისტოს რუსეთის პატარა ფლოტი მივიდაო.

პეტერბურგი. სამხედრო უწყებასა და სახალხო განათლების დეპარტამენტს ბრძანება მიუვიდათ, რომ ამ უწყებების დაწესებულებებში დაბალ ადგილებზე მოსამსახურეებად განსაკუთრებით დაჭრილი და დასახიჩრებული სალდათები მიიღეთ ხოლმეო.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში გამოქვეყნებულია ფლოტის გასაძლიერებლად დანიშნულ განსაკუთრებულ კომიტეტის ანგარიში: პირველ სექტემბრამდე შემოწირული ყოფილა ათი მილიონი მანათი; რვა სექტემბრისათვის შემოწირული იყო 10.084,951 მანათი. თვრამეტ სანაღმო კრეისერისა და სამ წყალქვეშ მავალ ნავის გასაკეთებლად დაიხარჯა 10.226,308 მანათი.—გაზეთების ცნობებით, კომისიამ განსაკუთრებულ რჩევაში განსახილველად შემდეგი წინადადებები შეიტანა: საჯარო კრებებზე სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ეკონომიურ საკითხების განხილვა არ შეიძლება. თუ თავმჯდომარემ ამ საკითხების განხილვის ნება მისცა კრებას, დაპატიმრებულ იქმნება არა უმეტეს სამის თვის ვადით, ან გადაიხდის ჯარიმას, არა უმეტეს სამას მანათისას. თუ თავმჯდომარემ კრება დახურა და ამ საკითხების განხილვა კი ისევ გააგრძელეს, დამნაშავენი დატუსაღებული იქმნებიან ან ჯარიმება გადახდებათ არა უმეტეს ასი მანათისას.—პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს აუწყა, რომ ზამიატინი, რომელიც 7 თებერვლის კრებაზე თავმჯდომარეობდა, გაანთავისუფლეს.

ბერლინი, 13 სექტემბერი. ვიტტე სადილათ რომინტენში წავიდა.

მოსკოვი, 13 სექტემბერი. მეფუტკრეთა კრებამ დაადგინა, რომ ამ საქმის წესიერი განვითარება ყოვლად შეუძლებელია, თუ სიტყვის, სინდისის და კრებების თავისუფლება არ მოგვეცაო.—რიაზანის, პენზის, სამარის, ტამბოვის, ტულისა და ორიოლის გუბერნიების საჭიროებათა გამოსარკვევად გაემგზავრა კომისია, სენატორ გალკინისა და ბრასკის მეთაურობით.

სამარა, 13 სექტემბერი. სამაზრო ერობის ეკონომიურ რჩევის კრებაზე, რომელსაც აურაცხელი ხალხი დაესწრო, გლეხებმა მოითხოვეს, რომ უპირველეს ყოვლისა აგრარიული საკითხი განიხილეთო.

ბელოსტოკი, 13 სექტემბერი. ამომრჩეველთა სიების შედგენას მალე დაამთავრებენ. საარჩევნო აგი-

ტაცია ტრუბეცკოის პარტიამ დაიწყო.

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. კომურა, კონეკოს თანხლებით, იაპონიაში ხვალ მიდის.

ბერლინი, 13 სექტემბერი. „ანცეიგერს“ მონსიდან აუწყებენ, რომ პოლიარულ ქვეყნების გამომძიებელ მკვლევართა კონფერენციას გადაუწყვეტია, მოამზადოს ორი ექსპედიცია, რომელთაგან ერთი ჩრდილოეთ პოლუსისკენ გაემგზავრება, მეორე—სამხრეთისკენ. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ: ნორდენსკიოლდა, ბრიუსსა, არკოვსკი და დესკინტე.

რეშეთი, 13 სექტემბერი. შაჰი თეირანისკენ გაემგზავრა.

პეტერბურგი, 13 სექტემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრი თავის მოსაზრებას კავკასიიდან სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების გაგზავნის დამატებით წესების შესახებ გრაფ სოლსკის განსაკუთრებულ რჩევას წარუდგენს, არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

პეტერბურგი, 13 სექტემბერი. განსაკუთრებული რჩევა კობეკოს თავჯდომარეობით მუშაობას 20 სექტემბერს განაახლებს. რჩევა არარუსთა პრესის საკითხს განიხილავს.

განჯა, 13 სექტემბერი. ქალაქსა და მაზრაში მშვიდობიანობაა. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. არეულობის თავიდან ასაცილებლად სასტიკი ზომებია მიღებული.

ბათუმი, 13 სექტემბერი. ხერსონის პოლკი და ორი ბატარეა გაიგზავნა.

რომინტენი, 13 სექტემბერი. ვიტტე აქ შუადღისას მოვიდა; სადგურზე მას თავადი ეილენბურგი დახვდა.

ვენა, 13 სექტემბერი. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკური პროგრამა წაიკითხა.

პარიზი, 13 სექტემბერი. „გოლუა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ვიტტემ, თანახმად პეტერბურგიდან მოსულ ბრძანებისა, მაროკოს საკითხის გამო საფრანგეთსა და გერმანიას შორის შუამდგომლობა ისურვა და მოაგონა გერმანიას, რომ რუსეთი საფრანგეთის დიპლომატიას უსათუოდ მხარს დაუჭერსო.

პეტერბურგი, 13 სექტემბერი. 13 სექტემბერს მოხდა სტუდენტების საზოგადო კრება, რომელსაც 2020 სტუდენტი დაესწრო. 1700 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 243, მიღებულ იქმნა რეზოლუცია, რომ უნივერსიტეტში სწავლა უნდა განახლდეს, კენჭის ყრაში 47 სტუდენტმა არ მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ საერთო ხასიათის რეზოლუცია შეიმუშავეს.

მოსკოვი, 14 სექტემბერი. დღევანდელი სხდომა თავად პავლე დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით მოხდა. წაკითხულ იქმნა ტფილისიდან მოსული დეპეშა, რომ, რადგანაც ტფილისის ხმოსნებმა, მათგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ხმოსნობაზე უარი განაცხადეს, ტფილისის დეპუტაცია ამ კრებას ვერ დაესწრებაო. ტფილისელები სთხოვენ კრებას, იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ ქალაქ ტფილისს ორი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება მიენიჭოსო, კრებამ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს ამის შესახებ.—ქალების უმაღლეს კურსების მსმენელებმა კრებაზე გადასწყვიტეს, სწავლა განაახლონ უნივერსიტეტში. გამოკიდებულია განცხადება, რომ უნივერსიტეტის შენობაში უცხო პირების შესვლა აკრძალულია.

პავლოგრადი, 14 სექტემბერი. ვარვაროპოლის მაღაროებში ცეცხლმა რამდენიმე შენობა გადასწვა, ზარალი სამი ათას თუმნამდეა

ბერლინი, 13 სექტემბერი. ვიტტე კანცლერს $2^{3}/_{4}$ საათი ელაპარაკა. ნალაპარაკევის შინაარსი საიდუმლოთ არის.

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. კომურა გარეშე პოლიტიკაში ისევ ძველი მიმართულებას დაადგება; ის მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის გაფართოვებასა და ეროვნულ რესურსების განვითარებას ეცდება. ეს პოლიტიკა სხვა სახელმწიფოების ინტრესებში არ გაერევა.

ვიტებსკი. ქალაქის ბანკში გაფლანგული ფულები აღმოაჩინეს. დამნაშავე, ბანკის ბუხჰალტერი ბეინი დაატუსაღეს.

ლონდონი, 14 სექტემბერი. გაზეთების უმრავლესობა ინგლის-იაპონიის ახალ ხელ-შეკრულობაზე კარგის აზრისა არიან, მაგრამ „დეილი ნიუს.“ ი მაინც იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ეჭვს გარეშეა, ხელ-შეკრულობა რუსეთისა და გერმანიის წინააღმდეგ არის მიმართულიო.

შანხაი, 13 სექტემბერი. საიმპერატორო დეკრეტით კომისია, რომელსაც პარლამენტალური მართვა-გამგეობის წესები უნდა შეესწავლა, პეკინში მომხდარ ამბის გამო, საზღვარ გარეთ ჯერ-ჯერობით აღარ გაიგზავნება.

ჰიბრალტარი, 14 სექტემბერი. ინგლისის ატლანტის ოკეანეს ესკადრა ლასმაპალმასში მივიდა.

კანეა, 13 სექტემბერი, აჯანყებულებმა ოთხი ათას გირვანქა სტერლინგის სასესხებლად მოლაპარაკება გამართეს.

სტამბოლი, 12 სექტემბერი. ადმირალი ვერსე-ფორსადი სულთანს აღარ ინახულებს.

ლონდონი, 13 სექტემბერი. ინგლის-იაპონიის ახალი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი ლანსდოუნმა და გაიშიმ მოაწერეს, რვა მუხლისაგან შესდგება. შესავალში ხელშეკრულობის ძირითადი პრინციპებია აღნიშნული. პირველი მუხლი—აღმოსავლეთ აზიაში და ინდოეთში მშვიდობიანობა უნდა იქმნას დაცული; მეორე—ჩინეთში ყველა სახელმწიფოების ინტერესები დაცული უნდა იქმნას, უზრუნველყოფილი უნდა იქმნას აგრეთვე ჩინეთის იმპერიის ხელშეუხებლობა; ჩინეთში ყველა ერს თავისუფალ ვაჭრობის უფლება უნდა მიეცეს. მესამე—ორივე სახელმწიფოთა ტერიტორიალური უფლების აღიარება აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთში. რადგანაც კორეაში იაპონიას, თავის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ მდგომარეობით, უპირატესობა ეძლევა, ველიკობრიტანიას იაპონიის უფლებად მიაჩნია, რომ კორეის მფარველობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი მას ჩაბარდეს. მეოთხე—იაპონია აღიარებს, რომ ველიკობრიტანიას უფლება აქვს, თავის საზღვრების დასაცველად ინდოეთში საჭირო ზომები მიიღოს ხოლმე. მეხუთე—არც ერთ მხარეს, მეორეს დაუკითხავად, არ შეუძლიან მესამე სახელმწიფოსთან ისეთი შეთანხმება შეჰკრას, რომელიც ხელშეკრულობის მიზანს ეწინააღმდეგება. მეექვსე—რუსეთ-იაპონიის ომს იხსენიებს და ავალებს ველიკობრიტანიას, სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას და მიეშველოს იაპონიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოც დაეცემა. მეშვიდე—ის პირობები, რომლებითაც სამხედრო დახმარება უნდა აღმოეჩინოს, ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ უნდა იქმნას შემუშავებული. მერვე—ეს ხელშეკრულება ძალაში იქმნება ათი წელიწადი. მისი გაუქმება შეიძლება ვადაზე ერთის წლით ადრე, თუ ამის შესახებ წინდაწინვე იქმნა გამოცხადებული (რეიტერი).

ტოკიო, 14 სექტემბერი. ინგლის-იაპონიის ახალი ხელ შეკრულება ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. განსაკუთრებით ის უხარიანთ, რომ ხელშეკრულება აზიაში 10 წლის განმავლობაში მშვიდობიანობას უზრუნველ-ჰყოფს.

ბაქო, 14 სექტემბერი. ფორმალურად მშვიდობიანობა ჩამოვარდა. სომხებმა და თათრებმა, რომლებსაც წინ სამღვდელოება მიუძღოდა, ქალაქში ერთად გაიარეს.

მოსკოვი, 14 სექტემბერი. დღევანდელ სხდომაზე თავმჯდომარეთ შჩეპკინი იყო ეროვნებათა საკითხის შესახებ, კრებამ საჭიროდ დაინახა, რომ ძირითადმა კანონმა ყველა ეროვნებას კულტურულ თვითგამორკვევის უფლება უნდა მიანიჭოსო. რუსული ენა მხოლოდ ცენტრალურ დაწესებულებებსა, ჯარსა და ფლოტში უნდა იყოს სავალდებულოვო.

პეტერბურგი, 14 სექტემბერი. გუშინდელ სხდომაზე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, რომ უნივერსიტეტში შესვლის დროს ებრაელებსაც ისეთივე უფლება მიენიჭოს, რანაირიც სხვა სარწმუნოების ახალგაზდებს აქვთო.

ვარშავა, 14 სექტემბერი. სამხედრო სასამართლომ კომერციულ სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეს მიხალსკისა და პროხანოვიჩს 8 წლით კატორგა მიუსაჯა, ნადალსკის და ფილიპოვიჩს 6 წლით, ვერემოვიჩსა და კოზერას ოთხის წლით. ამათ ბრალდებოდათ თავსდასხმა იმ ეტლზე, რომლითაც ოკრუელი (ამას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს) მიჰყავდათ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის ახალშენები. სამხრეთ-აფრიკის კოლონიების აჯანყებამ მთელი გერმანია აალაპარაკა. სოციალისტებმა და დემოკრატებმა ერთხელ კიდევ იშოვეს მთავრობის საგინებელი მასალა და ციფრებით ამტკიცებენ, რომ გერმანიის მთავრობამ ახალშენებში აუარებელი ფული ჩაჰყარა, ხოლო შოვნით კი ვერაფერი იშოვნაო. გაზეთები ურჩევენ მთავრობას, თავი მიანებეთ მაგ კოლონიებსა და მახვილით ქრისტიანობის გავრცელებას, თორემ თქვენს ქრისტიანულ კალთის ქვეშ მხეცური და ველური პოლიტიკა იმალებაო. დემოკრატული „ფრანკ. ცაიტუნგი“ საკითხს ფინანსიური მხრით ეხება და ამბობს, რომ მილიტარიზმი, მარინიზმი და ახალშენების პოლიტიკა გერმანიის ფინანსებსა და ეკონომიურ ცხოვრებას ძირს უთხრიანო. გერმანიის საახალშენო პოლიტიკამ თვითონვე გამოითხარა ძირი და საქმე იქამდის მიიყვანა, რომ, დღეს თუ ხვალ, გერმანიის ყველა ახალშენები აჯანყდებიან და მთავრობაც რეიხსტაგის დაუკითხავად ყველგან ჯარებსა და მილიონებს გაგზავნისო. ეს ოცი წელიწადია, რაც გერმანია აუარებელ ფულსა ხარჯავს ახალშენებზე, ნაყოფი კი არაფერში სჩანს.

1902 წლიდან 1905 წლამდის, ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში, სამხრეთ-აფრიკის ახალშენებზე გერმანიამ 272 მილიონი მარკა დახარჯა, იქიდან კი მხოლოდ 11 მილიონ მარკის საქონელი გამოიტანა. ახლა ამას მიუმატეთ ის რამდენიმე ასი მილიონი მარკა და რამდენიმე ათასი კაციც, რომელიც შავკანიანთა აჯანყებამ შთანთქა და ნახავთ, რომ ჩიტი პტყვნად არ ღირდა, დევნა კი მეტი იყოო.

სოციალ დემოკრატების კონგრესი. 5 სექტემბერს იენაში გაიხსნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონგრესი, რომელიც ერთ კვირას გასტანს. კონგრესმა უნდა განიხილოს, სხვათა შორის, საკითხი პარტიული ორგანიზაციისა და საერთო პოლიტიკურ გაფიცვის მოხდენის შესახებ. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას დეპუტატი ფოლმარი წაიკითხავს, მეორის შესახებ ავგუსტ ბებელი. საერთო პოლიტიკურ გაფიცვის გამო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ორ ბანაკად გაიყო: პარტიიდან ჯერ ჯერობით 3000 კაცი გამოვიდა და დააარსეს ახალი პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისა (და არა ანარქო-სოციალისტებისა, როგორც იუწყებოდნენ ამას წინად გაზეთები). კონგრესს ეწვევა საფრანგეთის სოციალისტების ბელადი ჟორესი, რომელიც მოხსენებას წაიკითხავს შემდეგ ტემაზე: „სოციალიზმის მნიშვნელობა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებაში“. ამ ორიოდე თვის წინად, ჟორესს ეს მოხსენება ბერლინში უნდა წაეკითხნა, მაგრამ გერმანიის მთავრობამ დაუშალა.

შვეციის სოციალისტების განცხადება. შვეციის სოციალისტემა მედგარი ბრძოლა აუტეხეს შვეციის ბურჟუაზიას, რომელიც ნორვეგიას თავისუფლებას არ აძლევს და ლამის არის ომში ჩაითრიოს ეს სახელმწიფო. ამის გამო შვეციის რიკსტაგის სოციალისტმა დეპუტატმა გაზეთ „სოციალ-დემოკრატ“-ში განაცხადა: თუ შვეცია ნორვეგიას ომს გამოუცხადებს, შვეციის სოციალისტები იმ დღესვე საერთო პოლიტიკურ გაფიცვას მოახდენენო.

ბრძოლა საყოველთაო არჩევნებისა ჰუნგრეთში. 2 სექტემბერს ბუდაპეშტში ჰუნგრეთის პარლამენტში სხდომები დაიწყო. ამავე დღეს ჰუნგრეთის მუშათა პარტიამ დიადი დემონსტრაცია მოახდინა ბუდაპეშტში და საყოველთაო საარჩევნო უფლება მოითხოვა. ამ დღეს ბუდაპეშტი არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. ქალაქის ყოველ კუთხიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ერთ მხარეს, სადაც შუადღისას 60000 კაცი შეიკრიბა, მუშებს თავიანთ ორგანიზაციების ბაირაღები, წითელი დროშები და ფარები მოჰქონდათ, რომელზედაც ეწერა: „მოგვეცით საარჩევნო უფლება„!, „ძირს მტანჯველნი“!, ,,ძირს ჯალათები‘‘!, და სხ. წეს-რიგის დაცვა თვითონ მუშებმა იკისრეს და მშვენიერადაც შეასრულეს თავისი მოვალეობა. აქედან ამოდენა ხალხი მუსიკითა და ინტერნაციონალის მღერით პარლამენტისკენ დაიძრა. ცოტა ხნის შემდეგ 60,000 კაცი პარლამენტის დარბაზს მიადგა. ხალხი მეტად აღფრთოვანებული იყო. ყოველ მხრიდან სიმღერის ხმა ისმოდა. უმეტესობას წითელი ტანისამოსი ეცვა, დანარჩენებს წითელი ყელსახვევები და სამკლაურები ჰქონდათ. მთავრობამ წინდაწინვე დაამზადა ცხენოსანი ჯარი, სალდათები და აუარებელი პოლიცია, მაგრამ გამოყენებით კი ვერ გამოიყენა: მუშებმა მშვენივრად იცოდნენ თავის მოვალეობა და სისხლის დაღვრით პარლამენტს რეფორმაზე უარის თქმის მიზეზი არ მისცეს. პარლამენტმა მუშათა დეპუტაცია მიიღო და ამას შემდეგ ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა.

ანარქისტების დასჯა. ინგლისის სასამართლოს პირველად მოუხდა ორი ანარქისტის გასამართლება. გასამართლებულ იქმნენ ანტონელი და ბარბერი, რომელნიც დაბეჭდილ ბროშურით იტალიის მეფის მოკვლას სიხარულით მიეგებნენ. სასამართლომ ერთს მათგანს 9 თვით კატორგაში მუშაობა გადაუწყვიტა, მეორეს—10 თვე. საქმის გარჩევის დროს, მოსამართლემ განაცხადა, ანარქისტებს რომ მარტო უცხოელთა მთავრობის მოსპობა უნდოდეთ, არ დავსჯითო, მაგრამ ზემოხსენებული ბროშურა ინგლისსაც შეეხებოდაო. ანარქისტების ვექილმა უპასუხა, ბროშურა უფრო მშვიდ ენით არის დაწერილი, ვიდრე ინგლისურ გაზეთებში მოთავსებული წერილები რუსეთის შესახებაო.

რეფორმები რუსეთში

ათას პროფესორის, დეკანისა და მეცნიერის გარდა, სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო კენჭი არ ეძლევა აუარებელ პუბლიცისტს, კრიტიკოსს, ბელეტრისტს, მხატვარსა და კომპოზიტორს. „ნოვ. დნია“ს მოჰყავს „უხმოთა“ სია. მარტო პეტერბურგელებიდან კენჭი არ ეძლევათ შემდეგ მწერლებს:

ნ. ანენსკი რუსეთის მხცოვანი ჟურნალისტი;

ს. იუჟაკოვი, სოციოლოგი და პუბლიცისტი

ვ სემევსკი. ცნობილი ისტორიკოსი;

ს. ვენგეროვი, ლიტერატურის ისტორიკოსი; კრიტიკოსი და პეტერბურგის უნივერსიტეტი; პრივატ-დოცენტად ნამყოფი;

ლ. პოლონსკი, დამსახურებული პუბლიცისტი და თანამშრომელი „ვესტ. ევრ“-სა, „ნოვოსტისა“-სა, „ნაშა ჟიზნ“-ისა და სხვ.;

ლ. სლონიმსკი, ეკონომისტი, „ვეს. ევრ“.ის რედაქციის წევრი;

ვ. სტასოვი, საპატიო აკადემიკოსი, ხელოვნების ისტორიკოსი და კრიტიკოსი;

ვ. ვოდოვოზოვი, პუბლიცისტი და კონსტიტუციონურ უფლებათა მცოდნე;

ნ—აშემოვი, “ნაშა ჟიზნ“-ის თანამშრომელი, **შრეიდერი და განეიზერი**, „სინ ოტეჩესტ.“-ს. რედაქციის წევრნი და თანამშრომელნი; **ფ. ბატიუშკოვი**, „მირ ბოჟი“ რედაქტორი და კრიტიკოსი;

ა. პეშეხონოვი, ცნობილი პუბლიცისტი.

ამას გარდა კენჭს მოკლებულნი არიან ცნობილი მწერლები ლაზარევი, ვეინბერგი, მინსკი, როზანოვი, კოტლიარევსკი. მღვდელი პეტროვი, ბოგდანოვიჩი, სემენტკოვსკი ბობორიკინი, პოტეხინი მამინ-სიბირიაკი, ბარანცევიჩი, მერეჟკოვსკი, მელშინი, ტრახტენბერგი, კარპოვი, და ს. ხ.

კენჭს მოკლებულ არიან აგრეთვე შემდეგი ცნობილი მხატვრები, მექანდაკენი, არტისტები და მემუსიკენი: რეპინი, მაკოვსკი, კისელოვი, ლაგორიო, მაცე, ბეკლემიშევი, გინცბურგი, ტრუბეცკოი, ბელსკი, ტარტაკოვი, ლიბინსკი, დავიდოვი, ერშოვი, სერებრიაკოვი, სმირნოვი, ბუხტოიაროვი, გე, დალმაცოვი, იურიევი, მედვედიევი, გლაზუნოვი, ბლუმენფელდი, ბლეიხმანი და ათასი სხვანი.

◆ **შეკრების „თავისუფლება“** გრაფ სოლსკის კომისიას წარედგინა შემდეგი პროექტი კრებების გამართვისა: 1) ვისაც კრების გამართვა უნდა, მან ადგილობრივ ადმინისტრაციას სამი დღით ადრე უნდა შეატყობინოს; 2) კრებას უნდა დაესწროს პოლიციის მოხელე, რომელიც მოხსენებულ ადგილს ირჩევს და კრებას თვალყურს

ფელეტონი

რა საწარმოვო ძალა აქვს ადამიანს?

ერთმა ცნობილმა მწერალმა პ. ვ—მა, იანგარიშა, თუ რამდენი მუშაობა მოუნდება ადამიანს, რომ ჰქონდეს სახლი, კარი, ტანთ-საცმელი, სასმელ-საჭმელი და სხვა. ეს ანგარიში ძალიან საინტერესოა და ამიტომ გვინდა გავაცნოთ მკითხველს *).

რომელიმე დიდ ქალაქის მუშათა სადგომების ფასი რომ ავიღოთ და ამ ფასზე დავამყაროთ ანგარიში, ადვილად შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ, რომ საჭიროა 1400—1800 ხუთ საათიანი სამუშაო დღე ერთ ამგვარ სახლის ასაშენებლად. ამ გვარი სახლი სძლებს დაახლოვებით 50 წელიწადს, და, მაშასადამე საჭიროა, მხოლოდ 28—36 ხუთსაათნახევრიანი სამუშაო დღე წელიწადში, რომ მთელმა ხალხმა იქონიოს სადი სადგომი, კოხტა და შნოიანად მოწყობილი. დღეს კი, როდესაც მუშა იმ გვარსავე სახლს ჰქირაობს სახლის პატრონისაგან, წელიწადში იხდის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ 75—100 სამუშაო დღეს. შევნიშნოთ, რომ ეს ციფრები მაქსიმუმია იმისი, რათაც დღეს, მაგალითად, ინგლისში ღირს ამგვარი სახლი. ბელგიაში უფრო იაფად აშენებენ მუშათა სახლებს. ყველაფერი რომ მხედველობაში მივიღოთ, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საკმარისია წელიწადში 30—40 ხუთ-საათ-ნახევრიიანი სამუშაო დღე, რომ ადამიანს რიგიანად გაწყობილი სადგომი ჰქონდეს.

რაც შეეხება ტანისამოსს, ერთობ ძნელია ანგარიში, რადგანაც აუარებელი მოგება, რომელსაც ათასნაირი შუამავლები იჯიბავენ, ძნელი საანგარიშოა. თუ ავიღებთ მაგალითისთვის მაუდს და განვიხილავთ, რამდენს იგებს საძოვრის პატრონი, ცხვრების პატრონი, მატყლის ვაჭარი, რკინის გზის კომპანია, საქსოვი ქარხნის პატრონი, ვაჭარი, ნათლად დავინახავთ, თუ რამდენად ზედმეტ ფულს ართმევენ ტანისამოსის მყიდველს ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ხალხი. ამიტომაც შეუძლებელია სწორედა სთქვას კაცმა, რამდენ დღის მუშაობად ღირს, მაგალითად, ერთი პალტო, მაღაზიაში მზად ნაყიდი.

მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ თანამედროვე პირობები მრეწველობისა იმგვარია, რომ აუარებელ ქსოვილებს ამზადებენ მანქანათა შემწეობით. ავიღოთ, მაგალითად, შეერთებული შტატები. შეერთებულ შტატების 751 ბამბეულობის ფაბრიკაში 175,000 მუშა ქალი და კაცი აწარმოებს ერთ მილიარდს, 939 მილიონსა და 400,000 მეტს ბამბეულ ქსოვილს და აუარებელ ძაფს. 11,000 მეტრის ქსოვილის წარმოებას საშუალოდ 300 სამუშაო დღე (თვითო დღე $9^{1}/_{2}$ საათი) უნდება, ანუ 40 მეტრს ქსოვილს—10 საათის მუშაობა. ვსთქვათ, რომ ოჯახი ხმარობს 200 მეტრ ქსოვილს წელიწადში, რაც თითქმის მეტიც არის საჭიროზედ,—ეს უდრის 50 საათის მუშაობას, ე. ი. ათ ხუთ-საათ-ნახევრიან სამუშაო დღეს.

რაც შეეხება კერძოდ ქსოვას, შეერთებულ შტატების ოფიციალური სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ თუ 1870 წელს მუშა დღეში 13—14 საათის მუშაობით აკეთებდა 9500 მეტრ თეთრ ჩითს წელიწადში, თექვსმეტის წლის შემდეგ (1886 წ.) იგივე მუშა 27,000 მეტრს ჰქსოვდა, და კვირაში კი 55 საათს მუშაობდა მხოლოდ. დაბეჭდილ ჩითსაც ამზადებენ, ქსოვა და ბეჭდვაც რომ ვიანგარიშოთ,—29,150 მეტრს 2669 საათის მუშაობით წელიწადში. ამგვარად 200 მეტრ თეთრის და დაბეჭდილი ჩითის საწარმოოდ საკმარისი ყოფილა წელიწადში 20 საათის მუშაობა მხოლოდ.

უნდა შევნიშნოთ, რომ საჭირო მასალა ამ მანუფაქტურაში თითქმის ისეთია, როგორიც სოფლიდან მოდის, ასე რომ გადამუშავება მასალისა, სანამ ჩითი გამოვიდოდეს, თავდება ამ ოცი საათის განმავლობაში. მაგრამ ეს ორასი მეტრი ვაჭრობაში მუშას უჯდება, სულ მცირე რომ ვსთქვათ, 10 ან 15 ათ-საათიანი სამუშაო დღე ანუ სულ 100 ან 150 საათი, ე. ი. მუშამ 150 საათს უნდა იმუშაოს, რომ ამის სამაგიეროდ 20 საათში გაკეთებული ნაწარმოები მიიღოს. ინგლისელი გლეხი კი თითქმის ერთი თვის შრომას ანდომებს, რომ ეს 200 მეტრი შეიძინოს.

აქედან სჩანს, რომ 50 ხუთ-საათ ნახევრიან სამუშაო დღით წელიწადში შეიძლება უკეთ ჩაიცვას კაცმა, ვიდრე ეხლა იცვამს და იხურავს პატარა ბურჟუა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია რომ ხეირიანი იყოს.

მაშასადამე, სახლისა და სადგომისათვის თითო ოჯახზე საჭირო ყოფილა 40 ხუთ-საათიანი სამუშაო დღე წელიწადში, ტანისამოსისათვის კი—მხოლოდ 50. ეს ისე მცირე მუშაობაა, რომ იგი უბრალო ძარღვების ვარჯიშად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ოჯახში საშუალოდ სამი სული მაინც არის, რომელთაც მუშაობა შეუძლიანთ.

გადავიდეთ ეხლა მიწად-მოქმედებაზე და ვიანგარიშოთ, რა შრომაა საჭირო მიწის ნაყოფთა მოპოვებისათვის.

საზოგადოდ, როდესაც მიწათ-მოქმედებაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის სახეში ჰყავთ საწყალი გლეხი, წელში გატეხილი დილიდან საღამომდის მუშაობით, ათასნაირ ბეგარებითა და გადასახადებით დამონებული და დაჩაგრული. ძვირად იხსენიებენ წელში გამართულ მწარმოებელს, რომელიც გაუმჯობესებულ საწარმოვო ტეხნიკას ხმარობს.

მეურნეს, რომელიც ტეხნიკის საუკეთესო იარაღით იმუშავებს მიწას, მხოლოდ ერთი ნაწილი სჭირდება ერთ ჰექტარ მიწისა, რომ ერთი ოჯახის სამყოფი სარჩო მოიყვანოს. დღეს ოცდახუთ რქიან საქონლის შესანახავად მას სჭირდება იმდენი მიწა, რამდენიც უწინ ერთი საქონლის შესანახავად სჭირდებოდა. მას უკვე არ ეშინიან ამინდისა, არც მზის, თუ რა არის „ცუდი მიწა“ და „კარგი მიწა“. მისთვის ყოველი მიწა კარგია, ის თვით **აკეთებს მიწას**, და ამ მიწის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანაც კი შეუძლიან. მას შეუძლიან ერთ ჰექტარზე მოიყვანოს იმდენი მოსავალი, რაც უწინ 50-ზე არ მოსდიოდა, და ისეთის ეკონომიით, რომ ნაკლებად დაიღალოს, ვიდრე უწინ იღლებოდა. ამას გარდა მას შეუძლიან არა თუ ძალისა, არამედ დროის ეკონომიაც.

გლეხს ოდესმე სჭირდებოდა შვიდი ან რვა ჰექტარი, რომ ოჯახით ეცხოვრა საწყლად და გაჭირვებულად. ეხლა კი თითქმის შეუძლებელია სთქვას კაცმა, როგორია მიწის რაოდენობის მინიმუმი, რომელიც სამყოფია თითო ოჯახისათვის, თუ ინტენსიური კულტურაა შესული მეურნეობაში. ვიცით მხოლოდ, რომ ეს მინიმუმი თანდათან მცირდება. აგრეთვე: რამდენ კაცს შეუძლიან იცხოვროს ეხლა ერთ კვადრატულ ლიეზე ინტენსიურის კულტურით,—ესეც ძნელი საანგარიშოა. ამ ოციოდე წლის წინად შეიძლებოდა კაცს ეთქვა, რომ საფრანგეთის მიწაზე შეეძლო ეცხოვრა 100 მილიონ კაცს ისე, რომ არსაიდან შემოეტანა მიწის ნაყოფი, დღეს კი, როდესაც ვხედავთ, თუ როგორის სისწრაფით მიდის წინ მიწად-მოქმედება საფრანგეთსა და შეერთებულ შტატების ზოგიერთ ადგილებში, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საფრანგეთში მილიონ ჰექტრ მიწაზე ას მილიონზე გაცილებით მეტ ადამიანს შეუძლიან ცხოვრება, თუ ინტენსიური კულტურა გამეფდება, თუ მიწა დამუშავდება ისე, როგორც „ზოგიერთ ადგილებში“, თუ მოხდება სრული რეორგანიზაცია მიწად-მოქმედებისა.

გადვიდეთ ოცნების სამფლობელოში და წარმოვიდგინოთ, რომ პარიზი და მისი მიდამოები, მთელი დეპარტამენტი სენისა და უაზისა მოსცილდა ქვეყნიერებას; მას აღარ უგზავნიან არც პურს, არც ხორცს სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, მუქთა ყლაპიობა გაჰქრა და მთელმა ხალხმა მუშაობას მიჰყო ხელი, შემოიღო სხვანაირი საზოგადოებრივი ორგანიზაცია,—მუშათა თავისუფალი ასოციაციები, შემოიღო მიწის ინტენსიური კულტურა და განავითარა ისე, როგორც იგი განვითარებულია, მაგალითად თვით პარიზის მიდამოებში. მაშინ ხსენებულ დეპარტამენტში მცხოვრებ ხალხს არც კი დასჭირდებოდა მიწის ნაყოფთა სხვა ქვეყნებიდან შემოტანა, ძლიერ კარგად ირჩენდა თავს თავისი საკუთარის შრომით, საჭიროზედ მეტსაც აწარმოებდა და შრომის რაოდენობასაც ძლიერ შეამცირებდა.

ყველამ იცის, რა მდგომარეობაშია დღეს ევროპის კულტურა. მიწის მუშას სარჩენად აწევს თავზე მიწის პატრონი,—მესაკუთრე, სახელმწიფო გადასახადი, ჩარჩი და სხვა. მრავალი მუქთახორა ხალხი. რენტა, გადასახადი და პროცენტი რკინის უღელივით დასდგომია დღეს კისერზე ევროპიულ მიწის მომქმედს და აბა სად შეუძლიან მიწის ინტენსიური კულტურის შემოღება. რენტა, სახელმწიფო გადასახადი და პროცენტი მთელი მისი მოსავლის ერთ მეოთხედზე მეტს უდრის, ხშირად ნახევარსაც შეადგენს. საფრანგეთში, მაგალითად, მიწის მოქმედება თავისი პროდუქტის $44^{0}/_{0}$ ს აძლევს სახელმწიფოს. გარდა ამისა რენტა, გადასახადი და პროცენტი მოსავლის თანახმად დიდდება. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ სამეურნეო ტეხნიკა მიწადმომქმედთა უმეტეს ნაწილისათვის გამოუსადეგრად რჩება და საერთოდ მიწად-მოქმედების მდგომარეობა შეფერხებულია. გარდა ამისა მიწის მუშა იყვლიფება მრეწველისაგან. თითოეული თოხი, ბარი, მით უმეტეს მაშინა, ოთხჯერ მეტად უზის მიწის მუშას, ვიდრე ამ იარაღთა ნამდვილი ღირებულება, და ვაჭარი ხომ თავის მოგებას არ დაიკლებს იმ განწყობილების პროცესში, რომელშიაც იგი შუამავალია მიწის მუშისა და მრეწველის შორის. ამიტომაც, საერთოდ რომ ავიღოთ, მიწად-მოქმედებაში დიდი ნაბიჯი ვერ წარსდგა წინ;—მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში მიიღო მან [illegible] მეცნიერებისა და [illegible] მიუხედავად. სწორედ ეს ზოგიერთ კუთხეები წარმოადგენენ საუკეთესო მაგალითს, თუ რა შეუძლიან კაცის შრომას და ტეხნიკას [illegible] სარგებლობას.

ამერიკის მინდვრებში (თუმცა აქ მოსავალი მაინცდამაინც კარგი არ იცის,—გვალვა პერიოდულად აფუჭებს ხოლმე მოსავალს) 5,000 კაცს, რომელნიც წელიწადში 8 თვეს მუშაობენ, 50,000 კაცის სამყოფი სარჩო მოჰყავს. ეს ნაყოფი ძალიან ეკონომიით არის მოპოვებული. ეს დიდი კულტურაა,—ექსტენსიური კულტურა. მიწას მანქანებს ხმარობენ, სანამ არ გამოფიტავენ, შემდეგ კი სტოვებენ და სხვა მიწას ეძებენ დასამუშავებლად. ინტენსიური კულტურა კი [illegible] მუშავის მიწის [illegible] და, რაც შეიძლება, მეტი ნაყოფი [illegible]. ეს კულტურა [illegible]. მაშინ, როდესაც ამერიკის [illegible] და საფრანგეთის [illegible] 10—12 ჰექტოლიტრი მოჰყავთ ჰექტარზე, [illegible] 36,50 და ხანდახან 56 ჰექტოლიტრი მოჰყავთ იმავე სივრცე მიწაზე. [illegible] სარჩო $^{1}/_{12}$ ჰექტარზე მოდის.

დავუბრუნდეთ სენის და უაზის დეპარტამენტს. ვთქვათ, რომ ჰექტარზე მოჰყავთ 40 ჰექტოლიტრი [illegible] ორ დეპარტამენტში—სენისა და უაზისაში—ცხოვრობს 3,600,000 კაცი, [illegible] რვა მილიონ ჰექტოლიტრ [illegible] საკუთრებაში [illegible] 200,000 ჰექტარი [illegible], სულ კი აქვთ 610,000 ჰექტარი მიწა.

რასაკვირველია, მარტო თოხით არ დაიმუშავებდნენ ისინი მიწას. მაშინ მათ დასჭირდებოდათ

---

*] იხილე პ. ვ—ს ორი წიგნი: ერთი ფრანგულ ენაზე, მეორე ინგლისურ ენაზე.

ადევნებს; მოხელეს შეიძლება სხვა პოლიციელებიც ჰყავდეს თან. პოლიციის მოხელეს კრების თავმჯდომარემ უნდა შეატყობინოს ორატორის ადრესი, გვარი და ვინაობა; 3) კრების თავმჯდომარე ან გამმართველი მოვალეა წინააღმდეგობა გაუწიოს უკანონო საქციელს და კრება დახუროს იმ შემთხვევაში, ა) თუ იგი თავის დანიშნულებას და საგანს ასცდა, ბ) თუ კრებაზე ისეთი სიტყვები წარმოსთქვეს, რომელნიც ერთ კლასს მეორეზე ამხედრებენ, გ) თუ კრებაზე გაავრცელეს მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემანი და მოწოდებანი, დ) თუ კრებაზე მთავრობის საწინააღმდეგოდ ყვირილი დაიწყეს, განცხადება შეიტანეს, სახელმწიფო დანაშაულობა, ძალმომრეობა წააქეზეს, ან მთავრობას არ დაემორჩილდნენ და კრება არ დაშალეს; 3) თუ კრება საზოგადოებრივ მშვიდობიანობას და წესიერებას არღვევს. 4) თუ რომელიმე ზემოხსენებული მუხლი დარღვეულ იქმნა, პოლიციას ნება აქვს კრება დახუროს. ეს მოთხოვნა მათთვის სავალდებულოა.

დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, რომ კრებაზე პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ კითხვებზე ლაპარაკი არ შეიძლება (რ. ვ.).

✦ გრაფ სოლსკის კომისია აღძრავს ლაპარაკს იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც „მეტად საჭირო“ არ იქნება, **გაძლიერებულ დაცვის წესი მოისპოს** (რ. ვ.).

✦ 4 ოქტომბერს მინისტრთა საბჭოს ლაპარაკი ექმნება იმის შესახებ, მისცეს თუ არა ნება პოლონეთში საკომერციო სასწავლებლებში საგნები **პოლონურ ენაზე ასწავლონ** (რ. ვ.).

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 15 აგვისტოს, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში **გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი სხვადასხვა ქართველ საქველმოქმედო დაწესებულებათა, მოწაფენი მიძინების სამრევლო და ყაზბეგის სკოლებისა და განსვენებულის მრავალი პატივისმცემელნი. ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა პატრმა პავლე კალაიჯაშვილმა. წირვის შემდეგ აკურთხეს სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე მიცვალებულის საფლავზე დადგმული ძეგლი. სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვა ი. როსტომაშვილმა.

✦ **ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო** თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას, 18 სექტემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, გამართოს საგანგებო კრება შემდეგ საკითხების განსახილველად: 1. არჩევნები თავმჯდომარისა, მისის ამხანაგისა და ამ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტისა; 2. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები, რომელთაც უნდა რევიზია უყონ გიმნაზიას, სკოლის ახალ შენობას ვერაზე და განიხილონ საკითხი სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.

✦ **მაჰმადიანებისა და სომხების წარმომადგენელნი ბაქოში შერიგდნენ** და პირობა დასდეს, რომ, თუ ვინიცობაა სომეხმა დასჭრა ან მოჰკლა მაჰმადიანი, ან თუ სომეხმა გაძარცვა, ან ცეცხლი წაუკიდა მაჰმადიანის ქონებას და თუ ეს მკვლელობა, გაძარცვა და ცეცხლის წაკიდება ეროვნულ განხეთქილების ნიადაგზე მოხდა, ბაქოს სომხური საზოგადოება მოვალეა ზღოს ქონება და ქონების მხრივ უზრუნველ-ჰყოს მოკლულის, ანუ დაჭრილის ოჯახობა. ამ გვარივე მოვალეობა აძევს მაჰმადიანთა საზოგადოებასაც. ამ გვარ პასუხისგების ვადა დანიშნულია 1907 წლის 1 იანვრავრამდე. თითო მხარე პასუხს აგებს [illegible] მილიონ მანათამდე. ხელწერილი დასდეს მაჰმადიანებმა და სომხების საზოგადოებების ათ-ათმა შეძლებულმა წევრმა.

✦ საქართველოს ეგზარხოსის მიერ დანიშნულმა **კომისიამ გამოარკვია,** რომ სასინოდო კანტორაში ხაზინადარ არდაზიონს გაუფლანგავს სულ 207,000 მ. ამ ფულშია 87,000 მანეთი, რომელიც მოგროვილი იყო მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად. საქართველოს ეგზარხოსი დაჰპირდა მცხეთის ტაძრის გადაკეთების საქმის გამგე კომიტეტს, საქმე რომ არ შეფერხდეს, ამ ფულს სასინოდო კანტორის თანხიდგან მოგცემთო.

✦ 11 სექტემბერს, ბაქოში ვიღაცამ თოფი ესროლა ქუჩაში მიმავალ მეეტლეს სედრაკ აკოფოვს. პოლიციამ დამნაშავეს ძებნა დაუწყო, მაგრამ მაჰმადიანებმა პოლიციას აღარ დააცალეს, **დამნაშავე თვითონ შეიპყრეს და პოლიციას გადასცეს.** დამნაშავე მაჰმადიანი გამოდგა.

✦ 12 სექტემბერს, საღამოზე, ბათომში მოჰკლეს რკინის გზის ნაწილის **ინჟინერი ვოლკოვი.**

✦ სამშაბათს, 13 სექტემბერს, კირპიჩნი ქუჩაზე სამი ტყვიით მძიმედ დასჭრეს **სარჯიშვილის ქარხნის გამგე ი. ი. გავრილოვი.** მსროლელი მიიმალა. გავრილოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს და ჩვენების ჩამორთმევის დროს განაცხადა, თუმცა ვიცი ვინც მესროლა, მაგრამ გვარს ვერ დავასახელებო.

✦ კვირას, 25 სექტემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში დანიშნულია ქიროტონია არქიმანდრიტის გიორგისა (ალადაშვილისა). კურთხევაზე დასასწრებლად გამოწვეულ იქმნენ ეპისკოპოსები იმერეთისა ლეონიდი სოხუმისა—სერაფიმე, და კავკავისა გედეონი.

სად. ლანჩხუთი. 13 სექტემბერს 11 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მიმავალ მატარებელს № 22, შეაჩერა, გაძარცვა საქონლის ვაგონები და მიიმალა.

✦ ოთხშაბათს, 14 აგვისტოს ქ-ნ ე. ტ. საგარდი-პოსერბსკაიას თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისში **ქალებისათვის სასოფლო სამეურნეო კურსების დაარსების შესახებ.** კრებას 20 კაცი დაესწრო. კრებამ დაადგინა: გაზეთების საშუალებით პროპაგანდა გასწიოს და დააარსოს ახალი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ამ საქმის ხელის შეწყობა უნდა ჰქონდეს.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში **დამთავრდა ეგზამენები მეექვსე კლასის იმ მოწაფეებისა,** რომელთაც გაზაფხულზე ეგზამენები არ ჩაუბარებიათ. სულ 11 კაცმა დაიჭირა ეგზამენი. მათში 10 ქართველია და 1 აისორი.

✦ მთავრობის დაწესებულებანი ბაქოში: საგუბერნიო სამმართველო, ქალაქისა და მაზრის პოლიცია და სხვა შუამდგომლობენ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ **ყველა მოსამსახურეთ მიეცეს ჯილდო ფულად** უკანასკნელ ამბების დროს გადამეტებულ მუშაობისთვის.

✦ ქ. ფოთში სამხედრო სასამართლომ გაარჩია ქუთაისის გუბერნიის სოფ. ქვიტირის მცხოვრებ **პორ. კუპრეიშვილის საქმე,** რომელსაც კვარცხავს მაღაზიაზე თავდასხმა ბრალდებოდა, და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ ეს განაჩენი შესცვალა და სიკვდილით დასჯის მაგიერ კატორღაში ოცი წლით გაგზავნა გარდაუწყვიტა.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო სწერს ტფილისის გუბერნატორს: რადგანაც კავკასიაში დაწყებული მოძრაობა ბეითლებს ხელს უშლის საქონლის ჭირთან ბრძოლაში, გთხოვთ გააძლიეროთ ფაქტიური მეთვალყურეობა და ზომები თქვენდამი რწმუნებულ გუბერნის სამზღვრებზე, რომ საქონლის ჭირი სხვა გუბერნიებსა და ოლქებში არ გადავიდესო.

✦ რიგის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის სტუდენტად ყოფილმა ს. ბ. გაძიევმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, მიეცეს მას ნება მისივე რედაქტორობით გამოსცეს ქ. **კავკავში ყოველ დღიური გაზეთი** რუსულ ენაზე სახელად „Утро Горъ“ (მთების დილა).

✦ **კავკასიის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ ინიშნება** მანჯურიის სამხედრო საოლქო სასამართლოების თავმჯდომარე ოლგერდ კარლის ძე შერბოვიჩ-ვეჩორი.

✦ ქალაქის კასაში სხვადასხვა გადასახადთა შემოსავალი ძალიან შემცირდა. **ქალაქის ზარალი ამ ჟამად უკვე 300,000 მან. აღემატება.**

✦ ავლაბრის პროგიმნაზიაში სამღთო სჯულის მასწავლებლად ინიშნება მღ. ქრისტეფორე ციცქიშვილი.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, გლეხთა მოძრაობის გამო **მღვდლებს სოფლიდან შემოსავალი მოესპოთ.** ბევრი მღვდელი ისეთ გაჭირვებაში ჩავარდნილა, რომ სხვა სამუშაოს ძებნას შესდგომია. სხვათა შორის, ცაგერის მღვდელს ვ. ხ—შვილს მოუსურვებია რკინის გზის ლიანდაგზე დღიურ მუშად დადგომა, მაგრამ ადგილობრივ ლიანდაგის ოსტატს არ მიუღია, მღვდელი და დღიური მუშა როგორ იქნებაო. მაშინ მღვდელს თხოვნით მიუმართავს რკინის გზის უფროსისათვის რომელსაც თანხმობა განუცხადებია მღვდლის დღიურ მუშად მიღებაზე. მღვდელი ლიანდაგზე იმუშავებს სხვა მუშებთან ერთად და მიიღებს ოთხ აბაზს (ცნ. ფურ.)

✦ გაზ. „კასპი“ ნამდვილ წყაროებიდან იუწყება, რომ **ბაქოში გრადონაჩალსტვოს დაარსება უკვე გადაწყვეტილია** და ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკს დასამტკიცებლად წარედგინება. გრადონაჩალსტვო დაარსდება 1906 წლის 1 იანვრიდანაო.

✦ **სოფ. ჭალიდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ, იქ, შეიარაღებული კაცები თავს დასხმიან ადგილობრივ მედუქნეს რაგიმ-ადი-ოღლს და გაუტეხიათ, რაც რამ მოუსწრიათ. ჯერ ჯერობით შეუპყრიათ ორი კაცი: ვასო გეთაშვილი და ლექსო თავშაგაძე.

✦ გუშინ, 15 სექტემბერს ბოტანიკურ ბაღში ნახეს გვამი გრიგოლ მელიქიანისა; მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ ტფილისის მაზრის საბოქაულოს [illegible] განკარგულებით, სოფ. პრიუტში დაუტუსაღებიათ 7 ყაჩაღი, რომელიც ახლო-მახლო სოფლებს თავზარსა სცემდნენ. 2 მათგანი უკვე გამოტყდარა.

✦ ოთხშაბათს, 14 სექტემბერს, მეორე საპოლიციო უბანში ვიღაც უცნობ კაცებს გაუქურდავთ მეორე გილდის ვაჭარი სერგეი სარიევი. ქურდებს წაუღიათ 2,500 მანათი ნაღდი ფული, 50 თოფი აბრეშუმის ქსოვილი, 2050 მანათისა, ხავერდი 250 მანათისა და 200 მანეთის ბეღლები. ერთი ნაწილი ნაქურდალისა უპოვიათ.

✦ გუშინ, 15 სექტემბერს, საზაფხულო სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფენი მუხრანის საუფლისწულო მამულებში გაემგზავრნენ სამუშაოდ.

✦ გუშინ, 15 სექტემბერს, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე სოხუმის მე-258 ე რაზმის ქვეითი ჯარისკაცის გრიგოლ სოლოდოვისა, რომელსაც რაზმიდან [illegible] გაქცევა ბრალდებოდა. სასამართლოს თავმჯდომარედ [illegible] იყო პოდპოლკოვნიკი [illegible], იგივე პოდპოლკოვნიკი კოზლოვი. სასამართლომ სოლოდოვს 5 წლით ციხე გადაუწყვიტა.

✦ 12 სექტემბერს, „ცნ. ფურ.“ სიტყვით სოფ. [illegible] გარდაიცვალა 116 წლის მოხუცი დედაკაცი, [illegible]

✦ სცენაზე წარმოსადგენად ნებადართულ იქმნა შემდეგი ქართულ პიესები.

1) „ნაღები“ დრამა ერთ მოქმედებად, თხზ. ბროკასისა, თარგმანი ა. სარაჯიშვილისა.

2) „ქორწილი ტელეფონით“—ვოდევილი ერთ მოქმედებად, თარგმანი დ. აწყურელისა.

3) „კარგი სიცრუე ცუდს სიმართლეს სჯობიან“—კომედია ერთ მოქმედებად, თარგმანი დ. აწყურელისა.

4) „უფროსი ძმა“—დრამა ერთ მოქმედებად ადოლფ დოდესი, თარგმანი ი. მაჭავარიანისა.

5) „ორპირთა შორის“—ვოდევილი ერთ მოქმედებად, თარგმანი გ. ბაღაშიძისა.

6) „ღვარი“—დრამატიული ეტიუდი ოთხ მოქმედებად, კოსორიოვისა, თარგ. ვ. გუნიასი.

ერობა კავკასიაში

ქუთაისის სამაზრო სათათბიროს სხდომა.

6 სექტემბერს. წარსულ სხდომის ოქმის ერთხმად დამტკიცების შემდეგ, სათათბიროს თავმჯდომარემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მოახსენა კრებას ის სამწუხარო ინციდენტი, რომელიც [illegible] და სთხოვა მას ფეხზე წამოდგომით პატივი ეცა [illegible]. კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება.

ე. პ. კიპიანიშვილი წინადადებას იძლევა, კრებამ გადაწყვიტოს შემდეგი კითხვები: სასურველია თუ არა, არსებულ წესწყობილების დროს, საერობო დაწესებულებათა შემოღება; შესაძლებელია, თუ არა, ბიუროკრატიულ რეჟიმის დროს, მსჯელობა ვიქონიოთ ფართო სასახლო თვითმართველობაზე; და თუ სასურველი არაა ჩვენთვის, არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დროს, ერობის შემოღება, იმ შემთხვევაში საჭიროა, თუ არა, რომ შევუდგეთ საერობო დებულების ძირითად საფუძველთა შემუშავებას, იმ მოსაზრებით, რომ სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნება მოწვეული, მანამდის არავითარს ერობას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნება.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ კითხვა ერობის შემოღების საჭიროების შესახებ პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია და მასზე მეტი ლაპარაკი საჭირო არააო; წინადადების მეორე ნაწილი კი თვით წარმომადგენელთა ერთ ჯგუფის რეზოლუციაში მოდის და ამიტომ ახლა ამ რეზოლუციის მუხლ-მუხლად განხილვას შევუდგეთო.

ტ. გ. წქიპურიშვილმა განაცხადა, რომ მას არაფერი არ გაეგება წარმომადგენელთა კამათიდან; ის მხოლოდ ხედავს, რომ ორ მხარეს შუა გაცხარებული კამათია და ორივე იცავს თავის აზრებს; რადგან მე არ შემიძლიან რომელსამე მხარეს მივემხრო, ამიტომ გთხოვთ მომცეთ ოქმების პირი, რომ ამგვარად გავაცნო ჩემს ამომრჩეველ ხუთ საზოგადოებას კრების კამათი და დადგენილებანი და ვსე, მათ თვითონ დასდონ მსჯავრი ამა თუ იმ საკამათო კითხვის შესახებ და მე კი გამანთავისუფლონ პასუხის გებისაგანაო. მეგონა, რომ ამ კრებაზე კითხვა იქნება აღძრული შესახებ იმისა, რომ საწყალ გლეხებს მიწები დაებრუნოს, მეგონა, რომ აღიძრებოდა კამათი არსებულ [illegible] გადასახადების შემსუბუქების შესახებ და სხ. ამ გვარებზე, მაგრამ აქ მე სრულიად ამას ვერ ვხედავ. რაც შეეხება მსჯელობას ამა თუ იმ კითხვის შესახებ, მე აქ სრულიად არაფერი ვიცი და არც შემიძლიან რისამე თქმაო.

თავმჯდომარემ აუხსნა მას საკამათო საგანი, განმარტა ერობის მნიშვნელობა და სხ. და თანაც დაუმატა, რომ საჭიროა გააგებინო შენს ამომრჩეველ საზოგადოებებსაო, რომ სრული [illegible] ის ხმები, ვითომც ერობის შემოღებით ვისმე ბატონ-ყმობის დაბრუნება სურდეს.

შეუდგნენ რეზოლუციის განხილვას. ბ-ნმა ბახტაძემ წაიკითხა რეზოლუციის პირველი მუხლი*).

გ. ფ. ზდანოვიჩი წინადადებას იძლევა წაკითხული მუხლი ამგვარად იქმნეს შეცვლილი: „განვიხილეთ 1864 წლის საერობო დებულება და ვსცანით, რომ ის ვერ აკმაყოფილებს ვერც ხალხის საჭიროებათ, ვერც ახლანდელ დროის მოთხოვნებათ, რადგან 1864 წლის დებულება [illegible] უფლებას სახელმწიფოს შეძლებულ კლასს ანიჭებს, გადასახადების კი სულ შეუძლებელ, ღარიბ ხალხს აწვება კისერზე; ამასთანავე ვსცანით, რომ საერობო თვითმართველობის თავისუფლება ხსენებულ დებულებით ძლიერ შეზღუდულია და ერობის სასარგებლო მოღვაწეობა შეზღუდულია ადმინისტრაციის საქმეში ჩარევით, ძლიერ ავნებს ადგილობრივ მცხოვრებლების არსებით ინტერესებს; ყველა ამის გამო სათათბირო იმ აზრისაა, რომ, თუ 1864 წლის დებულება ქუთაისის გუბერნიაში ძირითად ცვლილების მოუხდენლად იქნა შემოღებული, იმ შემთხვევაში არამც თუ ჩვენს ცხოვრებაში მშვიდობასა და სიწყნარეს ვერ შეიტანს, არამედ კიდევ უფრო გაამწვავებს ხალხის უკმაყოფილებას; ამიტომ ახალი საერობო „დებულება, სათათბიროს აზრით, უნდა შემდგეს საფუძველზედ [illegible] დამყარებულიო“.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბ-ნთ ბახტაძისა და ზდანოვიჩის რედაქციებს. ბ-ნ ზდანოვიჩის მომხრე აღმოჩნდა 14 და წინააღმდეგი 11; ბ-ნ ბახტაძისას—10 მომხრე და 15 წინააღმდეგი.

ბ-ნ. ბახტაძის რეზოლუციის მეორე და მესამე მუხლი კრებამ ერთხმად მიიღო.

თავმჯდომარეს სურს შეუდგეს საერობო დებულების პროექტის განხილვას.

ი. გ. გომართელი და ი. დ. ბახტაძე შეუძლებლად სცნობენ კრებაზე დარჩნენ პროექტის განხილვის დროს, თუ რომ მიღებული არ იქნება რეზოლუციის მეოთხე მუხლიცაო.

გ. ფ. ზდანოვიჩი და ე. ს. მიქელაძე უმტკიცებენ მათ, რომ, რაკი რეზოლუციის მესამე მუხლით აღნიშნულია სასურველი საერობო დებულების პრინციპები, [illegible] საერობო დებულების პროექტი, თუ როგორ შეიძლება საქმეში განხორციელდეს ეს პრინციპები; ამიტომ ჩვენ უსათუოდ უნდა განვიხილოთ და შევიმუშავოთ საერობო დებულების პროექტიო.

ი. გ. გომართელი აღნიშნავს, რომ მათ რეზოლუციაში უმთავრესია კითხვა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა, რაკი რეზოლუციის მეოთხე მუხლი [illegible]; ჩვენი მოწინააღმდეგენი კი [illegible]; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან მონაწილეობა მივიღოთ საერობო დებულების შემუშავებაშიო.

თავმჯდომარემ კენჭის ყრით სწყვეტს კითხვას, შეუდგეს საერობო დებულების პროექტის შემუშავებას. ბ-ნი გომართელმა, კვიცარიძემ, [illegible], ჩუბინიძემ, ფხაკაძემ, მაჭარაძემ, ბახტაძემ [illegible] უარი განაცხადეს კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე; დანარჩენმა 15 კაცმა ერთხმად საჭიროდ სცნეს საერობო დებულების პროექტის შემუშავება.

ცოტა ხნით შემდეგ ზემოდ ჩამოთვლილმა ცხრა კაცმა აღარ ისურვა კრებაზე დარჩენა და დარბაზიდან გავიდნენ; მათ დასტოვეს ხელმოწერილი რეზოლუცია.

ამის წასვლის შემდეგ კრებამ შეიმუშავა საერობო დებულების ახალი პროექტი, რომელიც „ივერიაში“ უკვე დაიბეჭდა (№ 161).

პროექტის შემუშავების შემდეგ, წაკითხულ იქმნა წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის მიერ დატოვებულ რეზოლუციის მეოთხე მუხლი. გრ. ი. გველესიანი წინადადებას იძლევა ხსენებულ მუხლის ნაცვლად მიღებულ იქმნეს შემდეგი რედაქცია:

ა) რადგან ჩვენ მიერ დასახულ ერობას, როგორც თავისუფალ დაწესებულებას, მხოლოდ თანასწორ სახელმწიფო წესწყობილებაში შეუძლიან ჰქონდეს მტკიცე ნიადაგი, ამიტომ ამგვარ ერობის არსებობის ერთ მთავარ პირობად ჩვენ მიგვაჩნია ახლანდელ სახელმწიფო რეჟიმის თავისუფალ, ხალხის უფლებრივ აგებულ მართვა-გამგეობად გარდაქმნა და ამავე დროს განაპირა ქვეყნების დეცენტრალიზაცია ფართო პოლიტიკურ თვითმართველობის მინიჭებით, და

ბ) ერობაში თავისუფალ და დამოუკიდებელ მოღვაწეობა-მოქმედებისათვის და ხალხის სურვილების თანახმად არსებობის მოსახერხად, ჩვენ ვითხოვთ, ეგრედ-წოდებულ, გარანტიების გამოცხადებას: სიტყვის, წერის, შეკრების თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობისას“.

ეს რედაქცია კრების მიერ მიღებულ იქმნა 9 ხმის უმეტესობით 5-ის წინააღმდეგ.

შემდეგ შეუდგნენ საგუბერნიო სათათბიროსთვის 6 წარმომადგენლის და ნამესტნიკის საბჭოსთვის ერთი წარმომადგენლის არჩევას. წარდგენილ დასახელებულ ნამესტნიკის საბჭოში წარმომადგენლად 7 კაცი, რომელთაგან ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა თავ. გლ. ს. მიქელაძე; საგუბერნიო სათათბიროსთვის დასახელდა 13 კანდიდატი, რომელთაგან არჩეულ იქმნენ: გ. ფ. ზდანოვიჩი, ე. ს. მიქელაძე, გ. ი. გველესიანი, გ. დ. მესხი, რ. ი. დუმბაძე და მ. ა. ქიქოძე. თავ. დ. ო. ნიჟარაძემ და დ. მ. მდივანმა, რომელნიც არჩეულ იყვნენ საგუბერნიო სათათბიროს წარმომადგენლად, უარი განაცხადეს წარმომადგენლობაზე.

დასასრულ კრებამ ტაშის კვრით მადლობა გამოუცხადა თავმჯდომარეს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს, რომელმაც მეტად კონსტიტუციურად და მიუდგომლად შეასრულა თავისი მძიმე როლი.

ისარა.

სოფლის გლეხები სიცილიაში

იტალიის სამხრეთით ძევს ერთი დიდი კუნძული,—სიცილია, რომელიც ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული და სადაც ხალხი, ამისდა მიუხედავად, მაინც საშინელ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. არ არის იქ ერთი ადგილიც დაუმუშავებლად დატოვებული, ხილი და ყურძენი სიცილიიდან იტალიასა და სხვა ქვეყნებშიაც გააქვთ ყოველ წლიურად. ხალხი შრომობს, ბუნება ამ შრომას ხელს უწყობს და მაინც სოფლად სიღარიბე და გაჭირება დიდია... რატომ?

იმიტომ, ვინც მიწის დამუშავებას ადგია სიცილიაში, საკუთარი ადგილი არა აქვთ. თითქმის მთელი სიცილია მსხვილ მემამულეთა ხელშია. ჯირჯენტის ოლქში, მაგ. მემამულეთ ოცდათოთხმეტი მიწა აქვთ, ვიდრე სოფლელებს. სიცილიის ოლქში თითქმის მთელი მიწა ერთ კაცის, ბარონ [illegible] კუთვნილებაა, ტერანოვის ოლქის ნახევარი ნაწილი თავად მონტელეონეს ეკუთვნის და ასე სხვაგანაც.

კიდევ კარგი სადაც მემამულე თვითონ ადგია თავის ადგილის დამუშავებას, მაგრამ იქ, თავადები და ბარონები სოფლად ვერ ჩერდებიან, ქალაქადგილებში გადასახლებულნი, ისინი, ვისგან მამულების შემოსავალი უზრუნველ-ყოფილი, ქეიფში ატარებენ დროებას და სოფლად მოურავებს სტოვებენ. ეს მოურავებიც, თავის მოსამსახურებლად პატრონთან, ცდილობენ მეტი შემოსავალი უჩვენონ და ათასნაირად ავიწროვებენ სოფლელებს, ხშირად მის მოტყუებასაც არ ერიდებიან. მოურავებისაგან დაქირავებული სოფლელი მუშები, [illegible] მოკლებული სადილობის, ოფლს ღვრიდენ, თავიანთ შრომით მდიდრებენ ბატონს და მოურავსაც,

---

[*] რეზოლუცია წინა ოქმში იყო მოთავსებული.

---

240 ხუთ-საათიანი სამუშაო დღე ჰექტარზე. ჯერ ისინი საერთოდ გააუმჯობესებდნენ ნიადაგს: გაუკეთებდნენ დრენაჟს, გასწმენდნენ ქვიშისაგან, გაასწორებდნენ ზედაპირს და ამ პირველ მომზადებით მუშაობაზე დახარჯავდნენ 5 მილიონ 5 საათიან სამუშაო დღეს, ან საშუალოდ რომ ვსთქვათ, 25 სამუშაო დღეს ჰექტარზე. შემდეგ დახნავდნენ მიწას ორთქლის გუთნით, ამას დასჭირდებოდა 4 დღე ჰექტარზე, ორთქლის მანქანით ფარცხვაზედაც წავიდოდა 4 დღე. გაურჩეველ თესლს პირდაპირ არ ჩაჰყრიდნენ მიწაში, არამედ ჯერ გაარჩევენ ორთქლის სარჩევ მაშინით; პირდაპირ არ დააბნევდნენ თესლს, არამედ რიგრიგად ჩაამწკრივებდნენ, და ყველა ეს 25 დღის მეტს არ მოინდომებდა ჰექტარზე, რომ მუშაობა კარგ პირობებში სრულდებოდეს. მხოლოდ 3 ან 4 წლის განმავლობაში იქმნება საჭირო ეს 10 მილიონი სამუშაო დღე მიწის დასამუშავებლად, შემდეგ კი ჰექტარზე შეიძლება მოიყვანონ 40—50 ჰექტოლიტრი პური, და მხოლოდ პირვანდელის ნახევარი დრო წავა წლიურ შრომაზე, მაშასადამე, 15 მილიონი სამუშაო დღე იქნებოდა საჭირო, რომ პური ჰქონოდა 3,600,000 ადამიანს, და ამისათვის არც დიდი მუშაობა იქნებოდა საჭირო.

ყველა ეს რომანი, ფანტაზია არ არის. ნამდვილ ინტენსიურ კულტურაზე არც კი გვილაპარაკნია. ჩვენ ის მოვიყვანეთ მაგალითად, რაც უკვე ბევრ ფერმერთა მიერ განხორციელებულია საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში და ფლანდრიაში, და რის განხორციელებაც შეიძლება ყოველთვის, გამოცდილებისა და ცოდნის წყალობით, რომელიც უკვე შეძენილია ხანგრძლივის პრაქტიკით.

ჩვენის ანგარიშით, 3 მილიონ, ნახევარ მცხოვრებს სენისა და უაზის დეპარტამენტში დასჭირდებოდა მხოლოდ $^1/_3$ ტერიტორიის დამუშავება, რომ პური სამყოფად ჰქონოდა.

ეხლა ვნახოთ ხორცის ანგარიში.

ინგლისელი, მაგალითად, ყველაზე მეტ ხორცს სჭამს,—თითო კაცს წელიწადში 100 კილო ხორცი უნდება. ჩვენ ვთქვით, რომ მთელი ოჯახის სამყოფი ხორცი წელიწადში უდრის ერთს ხარს. მაშინ სამ მილიონ მცხოვრებისათვის საჭირო იქმნებოდა წელიწადში მხოლოდ 700,000 თავი საქონელი. დღეს კი შესაძლებელია 660,000 თავი საქონლის გამოკვება 2 მილიონ ჰექტარ მიწის საშუალებით, ხოლო თუ საძოვარს მორწყავენ, 500,000 ჰექტარზე შეიძლება მოიყვანოს კაცმა 540,000 თავი საქონლის საკვები. თუ ინტენსიური კულტურაა და ჭარხალი მოჰყავთ საქონლის საკვებად, მაშინ საკმარისია მხოლოდ $^1/_4$ ამ სივრცისა, ესე იგი 125,000 ჰექტარი და თუ, სიმინდით ჰკვებავენ საქონელს, ან სხვა საუკეთესო და უფრო ადვილად მოსაყვან საკვებით, მაშინ 88,000 ჰექტარი მიწაც საკმარისი იქმნება. მილანის მიდამოებში, სადაც რწყავენ, 9000 მორწყულ ჰექტარზე მოჰყავთ ჰექტარზე 4—6 რქიან საქონლის საკვები. ზოგიერთ საუკეთესო მიწაზე მოჰყავთ 45 ტონნა მეტი ხმელი თივა, რაიცა შეადგენს 9 ხბოიან ძროხის წლიურ სარჩოს. გერნსეის კუნძულზე დამუშავებულია სულ 4,000 ჰექტარი მიწა, და აქედამ ნახევარზე ნაკლები,—1900 ჰექტარი,—დაფარულია ბოსტნებითა და ჰერნახულით, და მხოლოდ 2,100 ჰექტრია საბალახოდ გადადებული. ამ 2,100 ჰექტარზედ მოჰყავთ სარჩო 1,480 ცხენისა, 7,260 რქიან საქონლისა, 900 ცხვრისა, და 4,200 ღორისა. რაიცა წარმოადგენს 3 თავ საქონელს ჰექტარზე, გარდა ცხენისა, ცხვრისა და ღორისა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ მაგალითის $3^1/_2$ მილიონ მცხოვრებს. მათი საქონლისთვის საჭირო მიწა ორი მილიონიდან 88,000 ჰექტარზე ჩამოდის. რაც უნდა დიდად ვიანგარიშოთ, საქონლის გამოკვებას 200,000 ჰექტარზე მეტი მიწა მოუნდება. და ამ მიწაზე საჭირო საკვების მოსაყვანად 5 მილიონ 5 საათიან სამუშაო დღეზე მეტი არ იქნება საჭირო.

მაშასადამე, რახან პურის მოსაყვანად საჭირო იყო 15 მილიონი სამუშაო დღე, ხორცისათვის 5 მილიონი, სულ გამოდის საჭირო 20 მილიონი სამუშაო დღე, რომ პური და ხორცი საკმაოდ ჰქონდეს ამ $3^1/_2$ მცხოვრებს. თითო სულის ადამიანზე ძალიან მცირე სამუშაო დრო მოდის. $3^1/_2$ მცხოვრებთა შორის დაახლოვებით იქმნება 1,200,000 მოზარდი ვაჟი და ქალი, რომელთაც მუშაობა შეუძლიათ. მაშასადამე, წელიწადში თითო კაცზედ მოდის 17 სამუშაო დღე. კიდევ ჩვიუმატოთ 3 მილიონი სამუშაო დღე რძის კეთებისათვის საჭირო. სიფრთხილისათვის ამასაც მივუთატოთ ერთი იმდენიც და სულ მაინც არ გამოვა 25 სამუშაო დღე,—და ეს კი დიდი შრომა არაა, რომ კაცმა მოიპოვოს სამი უმთავრესი საგანი სახლკარისა და ტანისამოსს გარდა:—პური, ხორცი და რძე.

ვიმეორებთ, ეს რომანი არ არის. ჩვენ იმას ვამბობთ, რაც არსებობს, რაც გამოცდილებით არის უკვე აღიარებული.

ახლა ვნახოთ ბოსტნეულობის წარმოება. გადავხედოთ პარიზის გარეშემო მდებარე შესანიშნავ ბოსტნებს, მაგალითად ბ-ნ პონსისას. პონსი და მისი მუშები ხუთნი არიან, დღეში 12—15 საათს მუშაობენ. პონსის წლიური შემოსავალი არის: 10,000 კილო სტაფილო, 10,000 კილო ხახვი, ბოლოკი და სხვა წვრილი მცენარე, 6,000 თავი კომბოსტო, 3,000 ყვავილოვანი კომბოსტო, 5,000 კალათი ბადრიჯანი, 5,000 დუჟინი გადარჩეული საუკეთესო ხილი, 154,000 თავი სალათა,—სულ 125,000 კილო მწვანილი, ბოსტნეული და ხილი $1^1/_{10}$ ჰექტარზე, ე. ი. 110 ტონნა ბოსტნეული და ხილი ერთ ჰექტარზე.

კაცი 300 კილოზე მეტს ბოსტნეულობას და ხილს ვერა სჭამს წელიწადში, და მაშასადამე ერთი ჰექტარი მიწა საკმარისია, რომ ხილი და ბოსტნეული ჰქონდეს მთელი წლის განმავლობაში 350 კაცს. ამგვარად, 24 კაცს დღეში მხოლოდ 5 საათის მუშაობით ერთ ჰექტარზე წლის განმავლობაში შეუძლიათ მოიყვანოს ბოსტნეული და ხილი 350 კაცისათვის, დაახლოვებით 500 სულისათვის, ე. ი. ბ. პონსი რომ მუშაობს, ისე რომ იმუშავოს კაცმა, და დღეს მიწა კიდევ უფრო მეტ ნაყოფს იძლევა,—340 კაცს შეუძლია თითოს 103 საათის მუშაობით წელიწადში 500 კაცის სამყოფი ბოსტნეული და ხილი მოიყვანოს.

ამგვარი წარმოება გამონაკლისს არ შეადგენს. პარიზის ახლოს ეს წარმოება ხდება 900 ჰექტარის სივრცეზე, 5,000 მებოსტნის მიერ. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დღევანდელ წესწყობილებაში ეს მებოსტნეები წელში წყდებიან, რადგან ჰექტარზე თითქმის 2,000 ფრანკს იჯარას იხდიან წელიწადში.

ეს ფაქტი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩვენი მაგალითის $3^1/_2$ მილიონ მცხოვრებთ ბოსტნეულიც საკმაოდ ექნებათ, რადგან ჩვენის ანგარიშით 700 ჰექტარი მიწა მოგვრჩა პურისა და ხორცის წარმოების გარედ.

მ. წ.

—თვითონ კი მშიერ-მწყურვალნი რჩებოდნენ.

ეს იქ, სადაც მემამულე თვითონ, თვის მოურავების საშუალებით, ამუშავებდა თავის მამულებს, მაგრამ მემამულეთა უმეტესობა ამასაც აღარ კადრულობდა და არჩევდა თავისი ადგილები იჯარით გაეცა. ხშირად მათ ადგილს იღებდნენ მსხვილი მოიჯარადრენი, რომელნიც თავის მხრივ წვრილ-წვრილად აძლევდნენ აღებულ ადგილებს სოფლის მშრომელ ხალხს და ამ აღებ-გადაცემაში დიდ ფულსაც იგებდნენ უშრომელად და ამიტომ უკანონოდაც.

რა უნდა ექმნა გლეხს, რომელიც იძულებული იყო იჯარით აეღო მიწა, რომელიც ხშირად მოსავლის ნახევარს ან ორ მესამედსაც აძლევდა მიწის პატრონს და ხშირად მემამულის მაგიერად იხდიდა მიწის გადასახადსაც?! კიდევ კარგი, თუ ადგილი გრძელისვადით აღებული ჰქონდა, მაშინ მიწის გაუმჯობესებაზე დახარჯული შრომა მასვე რჩებოდა, მემამულეს არ შეეძლო იჯარის მომატება ყოველ წლიურად. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველგან, მთელ სიცილიაში მიწის პატრონები ცდილობდნენ მოკლე ვადიან იჯარით გაეცათ მამული და, ვადის გასვლის შემდეგ, უმატებდნენ იჯარას და გლეხიც, თვითონ უმიწაწყლო და გაჭირვებული, ხშირად იძულებული გამხდარა ამ მომატებას დასთანხმებოდა და კიდევ ერთი წლის განმავლობაში ეშრომა იმისთვის, რომ მიწის პატრონს საქიფო ფული მიჰქონოდა და გლეხი კი ისევ ულუკმაპუროდ დარჩენილიყო.

მემამულე, როგორც უფრო წელმაგარი და შეძლებული მხარე, ცდილობდა ყოველის მხრივ უზრუნველ ეყო თავისი ინტერესები და რაკი მოსავალი ხშირად მეტნაკლებია და ამის გამო მეტნაკლები რჩება მემამულეს ნაწილიც, ამიტომ ბევრგან მიწის პატრონი გადაჭრილ ფასში ურიგდებოდა სოფლელებს. იქნებოდა მოსავალი თუ არა, ამ შემთხვევაში მემამულესთვის სულ ერთი იყო. მოუსავლობის დროს, ამ მოუსავლობის გამო ისედაც გაჭირვებული, გლეხი იძულებული ხდებოდა მამასისხლად ესესხა სადმე ფული იჯარის გადასახდელად, თავისი ეკონომიური დაბეჩავება ეკონომიურ მონობად ექცია. მოვახშე, მემამულე და სახელმწიფო ხარჯების ამკრეფი ყველა იწევდა გლეხისკენ, ყველა გლეხით იკვებებოდა, ყველა გლეხებისაგან ფულის მიღებას ცდილობდა.

იქ, იტალიაში, ხალხის წარმომადგენლობა უკვე შემოსულია, ამიტომ იქ ხალხის წარმომადგენლებს შეეძლოთ გლეხობის სასარგებლოდ რამე ზომები მიეღოთ, მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა. გლეხობა ხალხის წარმომადგენელთა არჩევაზე გულს ითანაღრებდა, არ ერეოდა საზოგადო საქმეების გადაწყვეტაში და იქცეოდა ისე, როგორც უბრძანებდნენ მემამულე, მევახშე და მთავრობის რომელიმე მოხელე. ყოველსავე თავისუფლებას მოკლებული სოფელი თავის ინტერესების დაცვასაც ვეღარ ახერხებდა. დაბრმავებული, სხვებისგან დამონებული შეჰყურებდა იგი სხვების ბედნიერებას და მშიერ-მწყურვალი ხმის ამოღებასაც ვეღარ ბედავდა.

მაგრამ ყოველსავე მოთმენას თავისი დასასრული აქვს, არ შეიძლება ყოველთვის ხმის ამოუღებლობა, როდესაც მუდამ დღე შრომითაც ადამიანი თავის გამოკვებასაც ვეღარ ახერხებს, როდესაც ამ შრომით სხვა ვინმე, გარეშე, უშრომელად მდიდრდება და სიამოვნება-ქეიფში ატარებს დროებას.

სიცილიის სოფლელებმაც ხმა ამოიღეს. ვინც მათში უფრო გაბედული იყო და განვითარებული, ერთად გროვდებოდნენ მოსალაპარაკებლად. შეერთებას ცდილობდნენ თავიანთ უმწეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იტალიაში ხმა გავარდა, სიცილიის სოფლელებში რაღაც საიდუმლო და უცნაური მოძრაობა დაიწყოო.

ამბობდნენ იქ, სიცილიაში სოფლელებმა რაღაც კავშირები შეადგინესო, ამ კავშირებში ყველა ქურდი და ავაზაკი იღებსო მონაწილეობას, ეს კავშირები ხალხის აჯანყებას ცდილობსო მთავრობისა და მემამულეების საწინააღმდეგოდ. ამბობდნენ,—ამ კავშირებს ხელს უწყობენ და ემხრობიან მრავლად მასწავლებლები, ვექილები, ექიმები და მწერლები, ემხრობიან და ჰპირდებიან გაბატონებასო, ზოგიერთი მემამულეც კი ამ ახალ მოძრაობას მხარს უჭერს და ამაგრებსო.

მაგრამ სხვებს სულ სხვა სახით გამოყავდათ ეს მოძრაობა. კავშირების შესახებ ტყუილ ცნობებს ავრცელებენ მემამულენიო, ამბობდნენ ესენი. კავშირებს მიზნად აქვს სოფლელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, და ხალხის საერო კეთილდღეობა. მემამულეებს არ იამებათ, რომ სოფლელი გამოფხიზლების გზას დაადგა, და თავის მოძმეებთან ერთად ცდილობს გაუმკლავდეს სოფელში გაბატონებულ მემამულისა თუ მოვახშის ძალმომრეობას.

მოძრაობა თანდათან იზრდებოდა ისე, რომ ბოლოს მთავრობაც შეიქმნა იძულებული ყურადღება მიექცია მისთვის და „საქმის გამოსაკვლევად" ადგილობრივ თავისი მოხელეები გაეგზავნა. სანამ ხალხი იყო გაჩუმებული, ხმას არ იღებდა თავის გაჭირვებაზე, ან თუ იღებდა მხოლოდ იმისთვის, რომ ხვეწნა-ვედრებით მიემართა მთავრობისთვის, სანამ ხალხი თვითონ არ დაადგა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მთავრობაც მის ჩივილზე ყურს იყრუებდა და სოფლელების დახმარება მხოლოდ მაშინ სცნო საჭიროდ, როდესაც სოფელი ადგა და ბრძოლას დაადგა. მაგრამ აქაც მთავრობის მოხელეებმა ვერა გაარიგეს-რა,—სიცილიაში გლეხთა მდგომარეობის შესახებ ცნობების შესაკრებად ისევე მემამულეებს, ადგილობრივ შეძლებულ ხალხს და ადგილობრივ მოხელეებს მიმართეს, ესე იგი იმათ, ვის წინააღმდეგაც იყო ამხედრებული ხალხი, ვის ძალმომრეობამაც გამოიწვია ეს მოძრაობა.

და ქვეყანაც ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ შეიტყობდა ამ მოძრაობის შესახებ სიმართლეს, იტალიის ზოგიერთ გაზეთს რომ, არ გაეგზავნა სიცილიაში თავისი კორესპონდენტები საქმის გასაცნობად და გამოსაკვლევად. ამ კორესპონდენტებმა პირდაპირ ხალხს მიმართეს და მისგან შეიტყეს მოძრაობის მიზანი და მიმართულება.

ჩვენ დასამალავი არა გვაქვს რაო, ამბობდნენ ხალხის მეთაურები, და ყველასნ შეუძლია ჩვენი სურვილი გაიგოს.

იტალიაში არსებობს კრების და კავშირების თავისუფლება. ყველას მთავრობისა და პოლიციის დაუკითხავად შეუძლიან ამხანაგებთან ერთად შეიკრიბოს საერთო საქმეებზე მოსალაპარაკებლად, ყველას შეუძლიან დაუკავშირდეს სხვებს საერთო მიზნის მიღწევისთვის. ამიტომ სიცილიაში გლეხობამ თავისუფლად შესძლო შეერთება თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გლეხთა კავშირებს თავისუფლად შეეძლოთ პროპაგანდა, აგიტაცია. კავშირებს თავის სადგომებიც ჰქონდა, კავშირების წევრები ქუჩებსა და მოედნებზედაც იკრიბებოდნენ.

იტალიის ერთ გაზეთის თანამშრომელმა როსსიმ მოიარა ეს კავშირები და მათ კრებებს დაესწრო. ხალხი ყველგან შეგნებულად ლაპარაკობდა,—„დღემდის მშიერ-მწყურვალნი ვიყავით იმიტომ, რომ განცალკევებით ვცხოვრობდით, მხარს არ ვუჭერდითო ერთმანეთს. ამიტომ ყველა გვყვლეფავდა, ყველა თავზე გვაჯდა და ჩვენ დამონებასაც ახერხებდა. ახლა შევიგენით, რომ ერთობაშია ძალა და ამიტომ ამ კავშირების საშუალებით ვუერთდებით ერთმანეთს".

კავშირებმა გლეხობის შეერთებული ძალა წამოაყენეს და მემამულეებს მოსთხოვეს გადამეტებულ იჯარის დაკლება. სადაც მამული დიდი იყო, გლეხები საერთოდ იღებდნენ მას და ან ერთად ამუშავებდნენ და ან ერთმანეთში იყოფდნენ. ურჩ მემამულეებს ბოიკოტს უცხადებდნენ, დაზარალებულ და ღარიბ ამხანაგებს ეხმარებოდნენ. თავიანთ ხარჯებისათვის კავშირები წელიწადში ათ შაურს ახდევინებდნენ ყოველ წევრს და ეს ათი შაური მათთვის სრული-საკმარისი-იყო, რადგანაც კავშირებში მონაწილენი და მეთაურნი თავიანთ შრომისათვის არავითარ სასყიდელს არ იღებდნენ, რადგანაც აგიტატორები უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს და რადგანაც ეს კავშირები ნამდვილად ეხმარებოდნენ ხალხს და ხალხის სამსახურს თავს გასაბატონებლად არ იყენებდნენ. სიცილიის გლეხთა მეთაურებში განსაკუთრებით სახელი გაითქვეს ბოსკომ, გაეტანო რავამ, ფრანცისკ პერეცმა და დენეკლისმა. ხალხი მათ ყველგან აღტაცებით ეგებებოდა, მათი გავლენა ხალხში უსაზღვრო იყო და ეს გავლენა არ იყო მოპოვებული ძალადობით, ან მუქარით. ისინი ხალხს უხსნიდნენ მის თანამედროვე მდგომარეობას: მთელი ახლანდელი სიღატაკე იმის შედეგია, რომ საწარმოვო იარაღი, მიწა და კაპიტალი კერძო საზოგადოებას შეადგენს; ყველაფერი საერთო უნდა შეიქმნეს და მაშინ გაყვლეფის და სიღარიბის წყარო მოისპობაო.

კავშირები მალე გაიზარდნენ, წევრები თანდათან ემატებოდა. მემამულები შეშინდნენ და მთავრობას დახმარება მოსთხოვეს. მთავრობამაც სიცილიაში 10,000 ჯარი გაგზავნა „აჯანყებულ" ხალხის დასამორჩილებლად. ეს დამორჩილება საჭიროდ მიაჩნდა, რადგანაც ხალხს მოთმინება ეკარგებოდა და ბევრგან გაისმოდა ყვირილი: „არ გვინდა გადასახადი!"

სიცილიის დედა ქალაქში, პალერმოში, ხალხი და ჯარი ერთმანეთს შეხვდა. ჯარმა ხალხს თოფი ესროლა, ხალხი კეტებით დაესია ჯარს, მაგრამ გამარჯვება მაინც ჯარს შერჩა. მოძრაობის მეთაურები დაატუსაღა მთავრობამ, თითქმის 3,000 კაცი დაამორა სოფელს, 12—16 წლის ციხე გადაუწყვიტეს ზოგიერთს.

ხალხი ერთხანს გაჩერდა, მაგრამ მოძრაობა მასში არ შეწყვეტილა. დატუსაღებულების მაგიერად ახალი მეთაურები აღმოჩნდნენ, მთავრობისაგან გაუქმებულ კავშირების მაგიერად ახალი კავშირები დაარსდა. ხალხმა არჩევნების დროს, თავის დატუსაღებულ მეთაურებს თანაგრძნობა გამოუცხადა იმით, რომ ყველანი თავის წარმომადგენლებად აირჩია იტალიის პარლამენტში. ბრძოლა მშვიდობიან ნიადაგზე გადავიდა. სადაც ძალმა არ გასჭრა, იქ სხვა საშუალებას მიჰმართეს გლეხებმა. ინტელიგენციის დახმარებით, მათ გაიკვლიეს მშვიდობიან ბრძოლით გზა და ისევე ცდილობდნენ იდეალის განხორციელებას, სოციალიზმის მიღწევას.

მთავრობა ბოლოს შეშინდა, მან გლეხების მომხრეობა ისურვა და ზოგიერთი შეღავათები მიანიჭა მაგრამ გლეხობა ამით არ მოსტყუვდა, შეღავათები მიიღო და თავის ძირითად მოთხოვნილებებს მაინც არ სტოვებდა და არ ღალატობდა. ხალხმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იტალიის პარლამენტში თავის წარმომადგენელთა გაგზავნას,—უწინ თუ გულგრილად ეკიდებოდა არჩევნებს, ახლა დიდ მონაწილეობას იღებდა მათში და თანდათან იმდენი ძალა მოიკრიბა, რომ წარმომადგენელთა საკმაო რიცხვი მოიპოვა პარლამენტში. მათ წარმომადგენლებს მიემხრო პარლამენტის ყველა დემოკრატიული და რადიკალური პარტია და ყველამ ერთად ისეთი გავლენა მოიპოვეს პარლამენტში, რომ მშრომელ ხალხის მოწინააღმდეგე სამინისტრო გადააყენეს და თავისი მომხრეები დაასახელეს სამინისტროში.

გლეხთა მოძრაობა სიცილიიდან იტალიაში გადავიდა და იქ მუშათა პარტიასთან ხელი-ხელ-ჩაკიდებული მოქმედობდა. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ეს ორი ძალა, ყველა მშრომელ ელემენტების წარმომადგენელი ქალაქსა და სოფლებში ხელთ იგდებს ყველა საქმეების მართვასა და გამგეობას და დაიჩქარებს სოციალიზმის გამარჯვებას იტალიაში. მუქთა-ხორა კაცების მოსპობა, მშრომელთა გაბატონება—აი, ეს არის იმ დიდ მოძრაობის იდეალი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დაიწყო სიცილიაში და რომელსაც იქ შემდეგში კიდევ დიდი მომავალი მოელის.

*

რუსეთი

„ბირჟ. ვედ."-ს დანამდვილებით გაუგია, რომ სამხედრო ექიმები 15 ენკენისთვეს ბრძოლის ველზე მიდიან. საქმე იმაშია, რომ მანჯურიის არმიის მთავარ შტაბიდან **ჯერ ოფიციალური ქაღალდი არ მოსულა ომის გათავების შესახებ.** პეტერბურგის ბიუროკრატია კი მხოლოდ ამ ქაღალდს ელის. თუ 15-მდე ეს ქაღალდი არ მოვიდა, ექიმებს ტყუილ-უბრალოდ მანჯურიამდე გასეირნება მოუნდებათ. (რ. ვ.).

◆ მიწად მოქმედებისა და მიწადმოწყობის მთავარ სამმართველოს უფროსის განკარგულებით, ლოხვიცის სამეურნეო საზოგადოება **გაუქმებულ იქმნა** (ს. ო.).

◆ სასოფლო ეკონომიისა და სამეურნეო სტატისტიკის განყოფილების გამგედ დაინიშნა შინაგან საქმეთა განსვენებულ მინისტრის ფონ-პლევეს შვილი ნ. ფონ-პლევე, რომელიც **საოცარის სისწრაფით მიიწევს წინ ბიუროკრატიულ კიბეზე.** ამ ჟამად პლევე მხოლოდ 32 წლისაა და ასეთი დიდი ადგილი მიიღო (ს. ო.).

◆ ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა სკალონმა **შემდეგი ბრძანება გასცა:** „ეს ერთი წელიწადია, რაც პოლონეთში არეულობა დაიწყო. არეულობის მოსასპობად ფეხზე დაყენებული ჯარი იარაღით ხელში ასრულებს ამ მძიმე საქმეს. მაგრამ არეულობა არა თუ არ მოისპო, არამედ გაძლიერდა კიდეც. ეს იმით აიხსნება, რომ ადმინისტრაცია თავს იჭერს და ენერგიულად არ მოქმედობს. თავის დაჭერა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ საქმეში ცუდი ნაყოფი გამოიღო. თუმცა მთელ პოლონეთში აურაცხელი ჯარია (ლოძში, მაგალითად, 17 ბატალიონი ქვეითა ჯარი და 14 ესკადრონი და კაზაკთა ასეული იყო), მაგრამ არეულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. პოლიციას ენერგიულად ეხმარება ჯარი, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ადმინისტრაცია ჯეროვნად ვერ ხმარობს ჯარს: ზოგჯერ, როცა საჭირო არის, სულ უმნიშვნელო საქმისთვის ჯარს იწვევენ და ტყუილად სტანჯავენ; ზოგჯერ კი, როცა ენერგიული მოქმედებაა საჭირო, ადმინისტრაცია შესაფერ გამბედაობას ვერ იჩენს. ჯარი მხოლოდ მაშინ უნდა გამოიწვიონ ხოლმე, როცა მისი ძალაა საჭირო, ისე კი, წამდაუწუმ გამოწვევით ჯარს ხალხის თვალში ყოველნაირი მნიშვნელობა ეკარგება. ხალხი ჯარს დასცინის და მასხარად იგდებს და ორივე მხარე ერთმანეთს ემტერება. თუ ჯარი გამოიწვიეთ, საქმეც უნდა გაუჩინოთ, ხალხს აგრძნობინოთ, რომ ჯართან ხუმრობა და მისი შეურაცხყოფა არ შეიძლება, რომ ასეთი ხალხი სასტიკად იქნება დასჯილი ჯარისაგანვე. ადმინისტრაციის გაუბედაობა, დათმობა და შიში ხალხს აქეზებს, მეტ გამბედაობას აჩენინებს. ამის გამო მე დაჟინებით ვთხოულობ ჯარისაგან მხნე, გაბედულ და ენერგიულ მოქმედებას უწესოების მოსპობის დროს. ვინც გაუბედაობას და სილაჩრეს გამოიჩენს, ის ჩემ წინაშე აგებს პასუხს (რ. ს.).

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! ჩვენ, სოფ. ერთაწმინდაში (გორის მაზრა) მცხოვრებლები, განურჩევლად წოდებისა, ვაცხადებთ, რომ დღემდის, ჩვეულებად დადებულს დღესასწაულს „ერთაწმინდობას", ოც ენკენისთვეს, აღარ ვიხდით, რადგან ამის მიზეზით, ისედაც გაღარიბებულ ხალხს დიდი ზარალი და ხარჯი მოსდიოდა და მასთან ერთად დიდი უსიამოვნობა და ჩხუბიც ჩნდებოდა ხოლმე. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ, ზემოდ მოხსენებულს დღეს ნუ მობრძანდებიან, რადგან არავითარი მზადება სტუმრის დასახვედრად არ გვექნება.

ვინც, განურჩევლად წოდებისა, ამ ჩვენს პირობას დაარღვევს, მასპინძელი ჯარიმად გადაიხდის 25 მანეთს, ხოლო სტუმარი—5 მ. სოფლის სასარგებლოდ.

სოფლის მინდობილობით:
ვანო ჟამუტაშვილი.

II

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „ივერიის" საშუალებით ვსთხოვო ბბ. თავ. ს. ვახვახიშვილს, შ. ი. ყიფიანს, ა. თ. ყიფშიძეს, გ. ვ. მაზნაძეს და გ. ლასხიშვილს, როგორც მედიატორებს ჩემსა და ექიმ ვ. ს. მუსხელაშვილის შორის, სინდისის სამართლით დადგენილი თავისი განაჩენი გაზეთის ფურცლებზე გამოაცხადონ.

გიორგი ბეჟანისძე ტატიშვილი.

III

ბატონო რედაქტორო! მუშაკი—მოღვაწე ბევრს რასმე სასარგებლოს გააკეთებდა მამულისათვის, რომ მას ხელს არ უშლიდეს და ლუკმა პურს პირისაგან არ გლეჯდეს მისი მოძმე. ოცდა ორი წელიწადი ვმღეროდი ოპერაში პირველ როლებს საუკეთესო ევროპის, ამერიკის და რუსეთის სცენებზე. მერე შევუდექი ქართული ზეპირი მუსიკის წერას და თითქმის უსასყიდლოდ გადავიღე ნოტებზე 1751 ცალი. ვასწავლიდი ახალგაზრდობას ქართულს და ევროპიულს მუსიკა-სიმღერას. მაგრამ შურმა და ბოროტებამ აქაც ამოჰყო თავი. ბ. ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვეთაძემ ერთს ჩემს მოწაფეთაგანს ურჩია ქორიძესთან ნუ სწავლობო, ის ყრუ არის, სმენა არ აქვსო (რატილთან ისწავლეო). ვინ წარმოიდგენს იმას, რომ ხანგრძლივი მოღვაწე, მომღერალი სცენისა და მამწერი მრავალ რიცხოვან ზეპირი მუსიკისა ყრუ იყოს: ამისმთვის ბ. ცხვეთაძეს შევეკითხე წერილით, ვინ ანუ რამ აიძულა ის, ჩემი სმენა შეებღალა და დაემცირებინა? მან წერილით მიპასუხა: მე თვითონ შევამჩნიე, რომ სმენა გაკლიაო. ამ ცილისწამების წინად წერა-კითხვის საზოგადოების კონცერტს ამზადებდნენ და მომღერლებს ეძებდნენ. ბ. ცხვეთაძეს ვსთხოვე, ნება მიეცა ორ ჩემ მიერ მომზადებულ მომღერლებისათვის, კონცერტში მონაწილეობა მიეღოთ, თუ ისინი, შემდეგ შემოწმებისა მცოდნე პირებისაგან მათი ხმებისა და სიმღერებისა ქართულად და იტალიანურად, აღმოჩნდებოდნენ ღირსნი. ბ-ნმა ცხვეთაძემ მაშინვე მათი გვარები მოიკითხა. გვარები იყო იმერლებისა. კარგიო, მითხრა. მაგრამ ეს კარგი ავად გარდაქმნა,—მე ყრუდ მომნათლა, ჩემს მოწაფეს გზა შეუკრა, რომ თავი ეჩინათ საზოგადოებაში და მით გამხნევებულიყვნენ სწავლაში და მათი შემხედველნი სხვებიც აღმოჩენილიყვნენ მსურველნი სწავლისა და ამ გზით ქართული მუსიკა წინ წასულიყო. მაგრამ არა, ბ. ცხვეთაძემ იკადრა ჩემი მოწაფეების გადაბირება რატილთან. მსურველ და ღირს თავის მოძმეებს გზა შეუკრა, საზოგადოებაში თავი ეჩინათ კონცერტში მონაწილეობით. რა თქმა უნდა, ბ-ნ ცხვეთაძის მტრულმა მოქმედებამ იქონია გავლენა და ჩამომაცალა მოსწავლენი. ჩემს ხანგრძლივ უსასყიდლოდ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება და დიდი სიღარიბე ვითმინე მაგრამ მე მანუგეშებდა ჩემი შრომა და მისი ნაყოფი, რომელიც მინდოდა გამომექვეყნებია ჩემი მოწაფის საშუალებით. ახლა კი აღარც მოსწავლენი მყავს და აღარც ის წვლილი შემოსავალი მოსწავლეებისაგან, რომლითაც ვსაზრდოებდი ღარიბულად, აღარა მაქვს. დარწმუნებული ვარ, ამგვარ მტრობასაც ჩქარა მოეღება ბოლო, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოკლებული ვარ ყოველგვარ საშუალებას ცხოვრებისათვის. შიმშილით და სიცივით სიკვდილს ვარჩევ მივმართო ქართველთა კაცთ-მოყვარეობას და ვსთხოვო ნივთიერი დახმარება, რომ საქმე დავიწყო და განვაგრძო ჩემი შრომა. ბევრი კარგი რამე მაქვს გამოსაქვეყნებელი, სხვათა შორის, ქართული სამუსიკო მოკლე გრამატიკაც. ამისათვის თხოვნის მე არა მრცხვენია და არც ღირსებას მით უკარგავ. რადგანაც ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩამაგდო არა ჩემის მხრით დამოკიდებულმა მიზეზმა, არამედ ცილისწამებამ და მტრობამ *).

ფილიმონ ქორიძე.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

16 სექტემბერი.

„სლოვო" გადმოგვცემს, რომ კოროსტოვეცი, რომელიც პორტსმუტის კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას, იაპონიაში ელჩად ინიშნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში იხილავენ საკითხს ტიპოგრაფიების და ლიტოგრაფიების გახსნის გაადვილების შესახებ.

გაზეთ „რუს"-ი გადმოგვცემს, რომ კიევის ოლქიდან კავკასიაში ერთი კორპუსი ჯარი იგზავნება.

„სლოვო" გადმოგვცემს, რომ ახლო მომავალში მაქსიმ გორკის აკადემიის საპატიო წევრად აირჩევენო.

„რაზსვეტ"-ში დაბეჭდილია წერილი მოდესტოვისა, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: კავკასიის დღევანდელმა მდგომარეობამ დაამტკიცა, რომ არა რუსთა მართვა-გამგეობის სისტემა უნდა შეიცვალოსო. რუსეთის მთავრობამ რუსეთში მცხოვრებ არა-რუსებს გარკვევით და მტკიცეთ უნდა განუცხადოს: „აი ეს თქვენი უფლებაა, რომელიც თქვენს თავისუფალ განვითარებას უზრუნველჰყოფს, ამის შემდეგ კი სახელმწიფოს ისტორიაა, რომელიც თქვენთვის ისეთივე პატივსაცემი უნდა იყოს, რანაირიც იმპერიის მკვიდრ მცხოვრებთათვის არისო.

ნიუ იორკი, 14 სექტემბერი. კოლუმბიის უნივერსიტეტში ვიტტე და კომურა უფლებათა დოქტორად გამოაცხადეს.

ლონდონი, 14 სექტემბერი, „სტანდარტ"-ის აზრით, კარგი დრო დადგა, აზიის საქმეთა შესახებ ველიკობრიტანიამ და რუსეთმა განაახლონ მოლაპარაკება, რომელიც აქამდის, რუსეთ-იაპონიის ომის გამო, შეწყვეტილი იყოვო.

ბუდაპეშტი, 15 სექტემბერი დამოუკიდებლობის პარტიის კლუბთან სოციალისტებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. არეულობის დროს ბევრი დაიჭრა.

მოსკოვი, 15 სექტემბერი. არტისტი ილინსკი გარდაიცვალა.

ბელოსტოკი, 15 სექტემბერი. გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებით, გაფიცვები, მუშაობაზე თავის ნებით ხელის აღება და ქარხნების შენობებში უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, დატუსაღებულ იქნება, სამს თვემდე ან სამას თუმნამდე ჯარიმა გადახდება.

ლონდონი, 14 სექტემბერი. „ტაიმს"-ი სიხარულს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ რუსეთის ხელმწიფემ სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა განიზრახაო. ინგლისი სხვა ქვეყნებზე ძალიან არის დაინტერესებული იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც რუსეთ-იაპონიის ომმა გამოიწვიაო. ყოველ წინადადებას, რომელსაც კი რუსეთის მთავრობა წამოაყენებს და რომელსაც აზრად მომწიფებულ საკითხების გადაწყვეტა ექნება, ბრიტანიის მთავრობა ისეთისავე თანაგრძნობით მიეგებება, როგორც იმ შემთხვევაში, ეს წინადადება რომ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის მიერ იყოს წამოყენებულიო.

პეტერბურგი. ვიტტე დილით [illegible] ხელმწიფო საბჭოს ბევრი წევრი ეახლა.

პარიზი, 14 სექტემბერი. ტოკიოდან დეპეშით იუწყებიან, რომ გაზეთმა „ნიპპონმა" დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ სასურველია, ინგლის-იაპონიის კავშირს საფრანგეთიც მიემხროსო. ასეთი კავშირი შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობას უფრო განამტკიცებსო.

რომი, 15 სექტემბერი. რუსეთის ელჩმა იტალიის მთავრობას გააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვევის ბარათი ჩააბარა. იტალიის მთავრობამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე მაშინვე თანხმობა განაცხადა.

ტოკიო, 15 სექტემბერი. ყველა სავაჭრო პალატებს სთხოვენ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ ტოკიოში. ამ წარმომადგენლებმა ვაჭრობის გასავითარებლად ზომები უნდა შეიმუშაონ.

ლონდონი, 14 სექტემბერი. გაზეთები, რომლებიც მთავრობას მხარს უჭერენ, ხელ-შეკრულებას აქებენ და ამართლებენ. ზოგი კი უკმაყოფილებას აცხადებს.

პეტერბურგი. პეტერბურგის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა: 1, სახელმწიფოს ცხოვრების წესიერ მიმდინარეობისათვის საჭიროა განსაზღვრულ იყოს უფლება კანონმდებლობისა, სასამართლოსი და ადმინისტრაციისა, ყოველი ახალი კანონი ყველა წოდებისთვის ერთის წესით უნდა შემუშავებულ, განხილულ და დამტკიცებულ იქმნას, ყველა პასუხის მგებელი უნდა იყოს სასამართლოს წინაშე. 2, სამინისტროები ერთგვარად უნდა მოქმედობდნენ, რადგან მათი განკერძოებული და უპასუხისმგებლო მოქმედება მთავრობას ნდობას უკარგავს. 3, სამღვდელოება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სამრევლოებთან და არჩევნები შემოიღონ. 4, სწავლა-განათლების საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სწავლა ყოველ ახალგაზდისათვის ხელმისაწდომი იყოს და ამ საქმეში თავისუფლება მიენიჭოს ერობას ქალაქებს, სხვადასხვა დაწესებულებებს კერძო პირებს, რომ ყოველნაირ სასწავლებლის დაარსება შეეძლოთ. 6, ფართო ადგილობრივი თვითმართველობა უნდა იყოს ყველგან და პასუხისმგებელნი მხოლოდ სასამართლოს წინაშე იყვნენ. 7, ვაჭრობა-მრეწველობის გასაძლიერებლად საჭიროა გზები გაკეთდეს და მოეწყოს.

გაზეთი „ნოვოსტი", ორის თვით შეჩერებული, დღეს გამოვიდა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$88^7/_8$
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	$84^1/_2$
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	454
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	352
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	265
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	193
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10000 (?)

განცხადებანი

მერკვილაძის სამკერვალო
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლეში,
ბაღის პირდაპირ, № 5.
ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვანთ შეგირდებს ჭრა-კერვისა და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.
სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

ახალი წიგნი —
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"
ტფილისში:
1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

---

*) ვბეჭდავთ ბ-ნ ფ. ქორიძის წერილს, მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ჩვენის აზრით არტისტმა ამა თუ იმ კერძო კაცის მხრით გამოთქმული მოწონება ან დაწუნება საგაზეთო კამათის საგნად არ უნდა გახადოს. ყოველ კაცს აქვს უფლება მომღერალი როგორც მოეწონოს, ისე დაიწუნოს კიდეც, და არტისტის მხრით მოუხერხებელია საპასუხოდ და თავის მსჯავრის საბუთების წარმოსადგენად გამოწვევა თითოეულ დამწუნებლისა. ისეთ დამსახურებულს და დიდი ხნის მომღერალს, როგორიც ბ-ნი ვ. ქორიძეა, უეჭველია, ეს თვითონაც კარგად მოეხსენება.

Дозволено цензурою' Тифлисъ, 15 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.